

თბილისის
ვანო
სარაჯიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
ქვლევის
საერთაშორისო
ცენტრის
ბიულეტენი

თბილისი. დეკემბერი, 2013

Nº 15

ტრადიციული მრავალქმიანობის პელეგის
საერთაშორისო ცენტრი 10 წლისაა

სიახლეები საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

უცხოელი ეთნომუსიკოლოგები დიტერ ქრისტენსენი

თელავის ფესტივალი

უცხოური მრავალხმიანობა
მასაის ტომის ტრადიციული მრავალხმიანობა

ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი „სათანაზ“

ექსპედიციის დღიური
ექსპედიცია პანკისის ხეობაში

უცხოური ფოლკლორული ანსამბლი
სუტარტინესის შემსრულებელი ჯგუფი „ტრის
პეტურიოზე“ ლიტვიდან

ქართული სიმღერის მოამაგები ივანე მარგარიანი

ქართული კულტურისა და მეცნიერების პერიოდი
საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქო-
რეოგრაფიის მუზეუმი

ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები
ტრიო „ჯამათა“ საფრანგეთიდან

ბათუმის ხალხური და სასულიერო მუსიკის VIII საერთაშორისო ფესტივალი

ძველი პრესის ფურცლებზე
პუბლიკო ჭოხონელიძე
„ფაინო და ქართული სეირულები“

ერთი ჟანრის შესახებ სუფრული სიმღერები

ქართული ხალხური საკრავები

ერთი სიმღერის ისტორია
„ძაბრალე“

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი 10 წლისაა!

2013 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის 10 წელი შეუსრულდა.

მისი დაარსება 2002 წელს გადაწყდა, ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმზე, ქართველი და უცხოელი მეცნიერების, მათ შორის, მსოფლიოში აღიარებული ეთნომუსიკოლოგების – იზალი ზემცოვსკის (აშშ/რუსეთი), დიტერ ქრისტენ-სენის (აშშ), სიმპა არომის (საფრანგეთი), ფრანც ფონდერმაირის (ავსტრია), იოსებ ჟორდანიას (საქართველო/ავსტრიალია) და სხვათა ინიციატივითა და იუნესკოს თანადგომით, რომლის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სექციის დირექტორი ქ-ნი ნორიკო აიკავა სიმპოზიუმს სტუმრობდა. იუნესკოს ინტერესი კი მის მიერ 2001 წელს ქართული პოლიფონიის კაცობრიობის ზეპირი და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრად აღიარების გამოძახვით გახლდათ. კარგად მასხოვს, ქ-ნი აიკავას დაუფარავი გაოცება და აღტაცება, როდესაც მან სიმპოზიუმის კონცერტებზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში ქართულ ხალხურ სიმღერაზე ადგილობრივი აუდიტორიის რეაქცია იხილა. მისხოვე სიტყვებით, მან დაიხახა, რომ ქართული მრავალხმიანობა – ცოცხალი ტრადიციაა და არა მხოლოდ სცენაზე შემორჩენილი კულტურული რუდიმენტი, რომ მას ქართული საზოგადოება აღიქვამს, როგორც წინაპრებისგან მიღებულ მემკვიდრეობასა და მისი იდენტობის სათავეს და, ამიტომ, იგი დიდ მხარდაჭერას იმსახურებს.

სწორედ ამან გახადა შესაძლებელი 2003-2006 წლებში საქართველოში იუნესკოსა და Japanese Funds-in Trust-ის ერთობლივი მსხვილიუჯვეტიანი პროექტის „ქართული პოლიფონიის დაცვა და განვითარება“ განხორციელება. ამ პროექტით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სამუშაოს – სამი წლის განმავლობაში ლოგბართა სკოლების ფუნქციონირებას რეგიონებში ბ-ნ ანზორ ერქომაიშვილის ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი ახორციელებდა, ხოლო პროექტის ბიუჯეტის მეორე ნაწილი ჩვენი კვლევითი ცენტრის ტექნიკურ აღჭურვას, სავალე ექსპედიციებს, გამოცემებს,

ვებ-გვერდისა და კომპიუტერული მონაცემთა ბაზის შექმნას ითვალისწინებდა. აქედან დაიწყო ცენტრის ნაყოფიერი ურთიერთობა იუნესკოსთან, რასაც შემდეგ მოჰყვა ჩემი, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტის თანამშრომლობა ამ საერთაშორისო ორგანიზაციასთან.



ცენტრის თანამშრომლები

10 წლის მანძილზე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა დიდი სამუშაო გასწია – ჩაატარა ხუთი (II-VI) საერთაშორისო სიმპოზიუმი (ამჟამად მეშვიდესთვის ვებზადებით, რომელიც 2014 წლის 22-26 სექტემბერს შედგება), მიიღო 80-ზე მეტი მეცნიერი მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნიდან. სიმპოზიუმების კონცერტებში მონაწილეობა მიიღო ხალხური სიმღერის 800-ზე მეტმა ქართველმა და უცხოელმა შემსრულებელმა, გამოსულია და ჩვენს ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა წინა სიმპოზიუმის მოხსენებების კრებული (მექქსიერი – მომავალ სიმპოზიუმზე მიიღებენ მეშვიდე სიმპოზიუმის მონაწილეები), გამოსულია ცენტრის 14 ბიულეტენი, განხორციელებული არა ერთი პროექტი, მათ შორის, გენის ფონოგრამარქივთან ერთად, საქართველოში არსებული ფონოგრაფის ცვილის ლილგაების ჩანაწერების 16 დისკის (2006-2008) გამოცემა; გამოსაცემად მოამზადა ქართველი და უცხოელი ეთნომუსიკოლების ესეების კრებული Echoes from Georgia: 17 Arguments on Georgian Polyphony, რომელიც 2010 წელს დასტამბა ნიუ-იორკის გამომცემლობა Nova Science Publisher-მა; ამჟამად ბერლინის ფონოგრამარქივთან ერთად მზადდება I მსოფლიო ომის ქართველი ტყვეებისაგან 1916-1917 წლებში ბანაკებში ჩაწერილი სიმღერების გამოცემა და სხვ.

ცენტრს ბევრი სხვა რამეც აქვს გაკეთებული, მაგრამ, ჩემი აზრით, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი ისაა, რომ ჩვენმა სიმპოზიუმებმა ქართველი ეთნომუსიკოლოგები მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიური პროცესების უშეალო მონაწილეებად აქცია, რადგან ეს ფორუმი უკვე გახდა ერთ-ერთი პრესტიული ტრიბუნა, საიდანაც ქართველი და უცხოელი ეთნომუსიკოლოგები წარმოაქნენ მსოფლიო მრავალხმიანობის პროდლემებს და, ამ კონტექსტში, ქართული მრავალხმიანობის განსაკუთრებულ ადგილს.

თუ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართული მრავალხმიანი სიმღერა თანდათან იყრობდა ჩვენს პლანეტას, რომ არაფერი ვთქვათ „ჩაკრულოს“ გაგზავნაზე გალაქტიკაში დედამიწის ცივილიზაციის სხვა უნიკალურ ნიმუშებთან ერთად, ცოდნა მის შესახებ ამ პოპულარობის უკუპროპორციული იფო – უკანასკნელ დრომდე საქართველოს ფარგლებს გარეთ მხოლოდ მრავალხმიანობის შემსწავლელ რამდენიმე მეცნიერს ჰქონდა მასზე წარმოდგენა. ჩვენი ცენტრის მიერ ორგანიზებული სიმპოზიუმების წყალობით, მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიაში უკვე საბოლოოდ დამკვიდრდა აზრი ქართული მრავალხმიანობის ადგილობრივი წარმოშობის, მისი სტილური და ფორმების მრავალფეროვნების შესახებ. უცხოელი მეცნიერები უკვე უყოფმანოდ აღიარებენ, რომ საქართველო არის მსოფლიოს უნიკალური ქვეყანა, რომლის პატარა ტერიტორიაზე ვხვდებით ცოცხალ გამოვლენას მრავალხმიანობის ყველა ტიპისა, რაც კი ბუნებაში არსებობს, რის გამოც მას განსაკუთრებული ადგილს მიაკუთვნებენ თანამედროვე მსოფლიოში.

გარდა ამისა, ცენტრი ცდილობს საქართველოს დაუბრუნოს ის ადგილი, რომელიც მას ყოველთვის ეჭირა, როგორც კავბასიური მუსიკალური აულტურების შესწავლის ფლაგმანს. სწორედ ამიტომ 2010 წლიდან სიმპოზიუმში ამ თემას სპეციალური სესიაც მივუძღვნით, ხოლო 2013 წლის აგვისტოში ცენტრის თანამშრომლებმა პანკოსის ხეობის ექსპედიციაში ადგილობრივი ქისტებისაგან სრულიად უნიკალური ეთნოგრაფიულ-მუსიკალური აუდიო და ვიდეო მასალა მოიპოვეს, რაც სათავეს დაუდებს ჩვენს ცენტრში ქართულ-კავკასიური მუსიკალური კულტურების შედარებით კვლევას.

ერთი სიტყვით, გეგმები ძალიან ბეჭრი გვაქვს, მთავარია მათ განსახორციელებლად ადამიანური რესურსები გვევოს. ჩვენს პატარა გუნდს სჯერა, რომ დიდ და სასარგებლო საქმეს აქვთებს. ამიტომ მე მადლიუ-

რებით მოვიხსენებდი ყველას, ვისი მხარდაჭერის გარეშე ამ საქმეს ვერ გავაკეთებდით – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აღმინისტრაციას და, რა თქმა უნდა, ჩემს ამჟამინდევლ და ყოფილ თანაგუნდელებს – მათა კაჭკაჭიშვილს, მაკა ხარძიანს, ქეთევან ბაიაშვილს, ნინო რაზმაძეს და ახალგაზრდა სპეციალისტს თეო ლომსაძეს, რომელიც სულ ახლახან შემოგვიერდა; აგრეთვე თამაზ გაბისონიას, რომელმაც ეს ათი წელი ჩვენთან ერთად გაატარა და ახლა უკვე ილიას უნივერსიტეტში განგრძობს მოღვაწეობას.

ასევე ჩვენგან დიდი მადლობა ეპუნის მსოფლიოში აღიარებულ ქართველ ეთნომუსიკოლოგს, ამჟამად ავსტრალიაში მოღვაწე ბატონ სოსო ქორდანიას – იგი ჩვენი ცენტრის საზღვარგარეთული ბიუროს ხელმძღვანელია, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების წყალობით აქტიურადაა ჩართული ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობაში – ამის საშუალებას – და გადამწყვეტ როდს თამაშობს მისი საერთაშორისო კავშირების გაფართოებაში.

მაგრამ განსაკუთრებული მადლობა ჩვენს უცხოელ მეგობრებს, მათ, ვინც ცენტრის სათავეებთან იდგა, ვინც ჩვენი სიმპოზიუმების სესიებსა თუ საკონცერტო პროგრამებში მრავალჯერადი მონაწილეობით გვიდასტურებენ თავიანთ თანადგომას, იმათაც, ვინც ქართული მრავალხმიანობის გაცნობის შემდეგ იგი თავისი კვლევის საგნად აქციეს ან ვინც ერთხელ მაინც გვესტურა და თან წაიღო კეთილი მოგონება ჩვენი ქვეყნისა და მისი მუსიკალური კულტურის შესახებ.

და ბოლოს, მადლობა უნდა ვუთხრათ იმ ადამიანებს, რომლებიც ესწრებიან სამეცნიერო სესიებსა და სიმპოზიუმების დღეებში მრავალხმიანობის კონცერტებზე კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებს ავსებენ....

**რუსუდან წურწუმია
ტმკსც-ის დირექტორი**



ტრადიციული მრავალ ხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრს კულტურული დაარსების ათი წლისთვის! მინდა ეს მიღოცა ასევე გავაკრცელო

ქათველ ეთნომუსიკოლოგებსა და მუსიკოლოგებზე, თბილისის სახელმწიფო კონკრეტობრივიაზე და მთელს საქართველოზე, რადგან ნადვილად საამაყოა საქართველოში არსებობდეს მსოფლიო რანგის წამყვანი აკლევითი ცენტრი.

ამ ცენტრის დაარსების უკეთესობაზე დიდი ფაქტორი იყო ის საოცარი კულტურული, რასაც ქართველი მრავალ ხმიანი სიმღერა წარმოადგენს. ჩვენი უდრიში მაღლობა ეკუთვნით იმ დიდებულ ადამიანებს, ჩვენს წინაპრებს, რომლებმაც შექმნეს და ჩვენამდე მოიგანეს ეს საოცარი საგანძურო.

მინდა ასევე უდრიშესი მაღლიერებით გავიხსენო ისინი, ვინც თავიდანვე დაუჭირა მხარი და დიდი დგაწლი შეიტანა იმაში, რომ საქართველოში მომზადებულიყო ასეთი ცენტრის შექმნის საფუძველი: ალექსანდრე შავერზაშვილი, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს თბილისში მრავალ ხმიანობის პირველი საკავშირო კონფერენციის ჩატარებას, გაი კანხელი, რომლის დახმარებამაც მისცა ბორჯომის კონფერენციებს საერთაშორისო ულტერი, კიდიშერ გარაფანიძე, რომელიც თავიდანვე წამყვანი ძალა იყო კონფერენციებზე აქტიურებული ქართული სიმღერის კონცერტებისა, მანანა დოიჯაშვილი, რომლის მხარდაჭერა გადამწყვეტი იყო თვით ცენტრის შექმნაში 2003 წელს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ცენტრის ხელმძღვანელის, რუსედან წურწუმიას თავდადებული და უდავოდ წარმატებული შრომა ამ ათი წლის განმავლობაში.

დღეისათვის მრავალ ხმიანობის საკითხების შესწავლა თანამედროვე ეთნომუსიკოლოგის ერთ-ერთი წამყვანი სფეროა. აცხტოიაში, რუსეთში, ესტონეთში, ტაივანში, პორტუგალიაში ეწყობა კონფერენციები, გამოდის წიგნები და კრებულები, ცოტა ხნის წინ დაარსდა ICTM-ში მრავალ ხმიანობის შემსწავლელი ჯგუფი. თანდათანობით ხდება

იმის გააზრება, რომ მრავალ ხმიანი სიმღერა არის არა მარტო საოცარი კულტურული ფენომენი, არამედ ხალხთა შორის პარმონიული ურთიერთობანამშრომლობის მძლავრი სიმბოლოც, შემიძლია თამამად განვახადო, რომ ამ კველაფრის ბიძგი სწორედ ჩვენი კონფერენციები და სიმპოზიუმები, ჩვენი ცენტრის არსებობა გახდა.

მთელს საქართველოსთან ერთად ვამყობ, რომ საქართველოს ასეთი წამყვანი ადგილი უჭირავს მრავალ ხმიანობის კვლევაში, და კიდევ ერთხელ კულტურული ტრადიციული მრავალ ხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრს და მის უკეთესობის ათი წლისთვის! კიდევ მრავალ ახალ წარმატებას, კიდევ მრავალი ახალი უცხოული მეცნიერის შეძენას, კიდევ მრავალი ახალგაზრდა ქართველი კონფერენციების გაზრდას გულისხმობაში მოიწვევდება!

იოსებ ქორდანია

დრო სწრაფად გარბის, ვისენებდ თბილისის სახელმწიფო კონკრეტობრის ტრადიციული



მრავალ ხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დაბადებას და, ას, უპყვა ათი წლის გახდით! გილოცავთ!

კარგად მოგეხსენება, თუ რაოდენ წარმატებულად ტარდება ტრადიციული

მრავალ ხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმები, იძებელება სიმპოზიუმის მასალების ფენიდამენტური ორენვანი კრებულები, მაგრამ ვისურვებდით რომ გაცილებით მეტი ვიცოდეთ ქართული მრავალ ხმიანობის უმნიშვნელოვანების ტიპოლოგიური აღწერისა და დღევანდებული რუსის შედგენის საქმეში ცენტრის საქმიანობაზე.

დავ, მრავალ ხმიანობა ზეობდეს მუსიკასა და მუსიკაზე ფიქრში! მრავალ უმიერჩენის უხავვარდებს მრავალ ხმიანობის შვილ!

იზალი ზემცოვსკი, აშშ/რუსეთი

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის არსებობას დიდი მნიშვნელობა

აქვს წარსულსა და აწმუნში მრავალხმიანობის ზეპირი ტრადიციის ნებისმერი ასექტთ დაინტერესებული ადამიანებისთვის. ყოველ ორ წელიწადში სიმპოზიუმების ჩატარება შეხვდრის, აზროვნების გამოცდილების გაზიარების უნიკალურ საშუალებას აძლევს

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებებს. კვლავ ჩვენგანისთვის ბეჭრისმომცემია ცენტრის პუბლიკაციები.

გულითადად გულოცავ პროფესორ რუსეთის წერწემიას, იოსებ უორდანიას და ამ შესანიშნავი ორგანიზაციის კოლექტივის.

გულოცავ და დიდხანს სიცოცხლეს გუსტურებ ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრს!

სიმპა არომი, საფრანგეთი



ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრმა მუშაობა 10 წლის წინ დაიწყო და ამ დროის მანძილზე სიმაღლიდან არ ჩამოსულა. ცენტრი არაჩვეულებრივ საშუალებას იძლევა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის მრავალხმიანობის გაცნობისათვის. ეს შესანიშნავი გამოცდილებაა ცენტრის სიმპოზიუმებში მონაწილეობის.

პირადად მე ცენტრის მაღლობელების გარ, რადგან ჩემი მოკრძალებული წვლილი მსოფლიო მრავალხმიანობის მონაცემთა ბაზაში ამ პატარა სამეცნიერო საზოგადოების დიდი შრომის შედეგია. ცენტრსა და მის კო-

ლექტივს ვუხურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და დიდ წარმატებებს სამეცნიერო საქმიანობაში.

მიხაილ ლობანოვი, რუსეთი



მინდა მოკლედ გამოვხატო უღრმესი მაღლობა ტრადიციული მრავალხმიანობის ცენტრის კოლექტივის მიმართ მუსიკალური მსარდაჭერისა და მეცნიერებისათვის. მათ მიერ ჩატარებული სიმპოზიუმები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ამიტომ მინდა შევხვა მათი წარმატებული მომავლის სადღე-გრძელო! დიდი მაღლობა კველას და გილოცავთ, გაუმარჯოს!

პოლო გალეჭო, ესპანეთი

სიახლეები
საქართველოს
ეთნომუსიკალური
ცენტრები
(ივნისი-დეკემბერი, 2013)

ფესტივალები და კონფერენციები

ივლისი, 2013 – გაიმართა ტრადიციული ფესტივალი არტ-გენი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც რეგიონულმა, ისე თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

14-15.07.2013 – ქ. ზუგდიდში დადიანების სასახლეში გაიმართა გალობისა და ხალხური სიმღერის პირველი ფესტივალი, რომლის ფარგლებშიც ანსამბლმა „დიდგორმა“ მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის საკათედრო ტაძარში ჩატარებულ სახეობო წირვაში.

4.09.2013 – ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართა სასულიერო მუსიკის მე-16 საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწი-

ლეობა მიიღო ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „დიდგორმა“.

17.09.2013 – დაბა სტეფანწმინდაში გაიმართა ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 165 წლისთვის სახალხო დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, ისე თბილისურმა ფოლკლორულმა კოლექტივებმა.

28-29.09.2013 – ჩატარდა ხობის VII საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“, რომლის ფარგლებშიც გაიმართა წიგნის „დალაი ვახტანგ როდონაიას“ პრეზენტაცია.

6.10.2013 – თბილისში, მთაწმინდის პარგში გაიმართა ტრადიციული ლურის პირველი ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: „სახიობა“, „დიდგორი“, „ნანია“, „ლაგუშედა“, „ძირიანი“.

12-20.10.2013 – ქ. თელავში ჩატარდა სახელოვნებო ფესტივალი NEW ნადიმი.

1-3.11.2012 – ქ. ბათუმში გაიმართა გიგი გარანიძის სახელობის საერო და სახელოერო მუსიკის VIII საერთაშორისო ფესტივალი და კონფერენცია.

5-6.12.2013 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილიოსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის სახალო-სამეცნიერო ინსტიტუტმა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განვითარებაში მოაწყო ირაკლი სურგულაძის სსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: „მოთი, კულტი, რიტუალი“.

კომპაქტ-დისკები, მასტერ-კლასები, ლექციები, პუბლიკაციები, პრეზენტაციები და სხვ.

30.05.2013 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ამავე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, მუსიკოლოგიის დოქტორის, ნინო კალანდაძე-მახარაძის საჯარო ლექცია თემაზე „ბაგშვთა სამუსიკო საკრავები საქართველოში“.

8.06.2013 – თბილისში, წიგნის მაღაზია „ლიგამუშში“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოაწყო შეხვედრა ქალთა ფოლკლორულ ანსამბლთან „მზეთამზე“.

16.06.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა კომპაქტ-დისკის „100 ხალხური სიმღერა და საგალობელი“ პრეზენტაცია-კონცერტი ანსამბლ „ბასიანის“ მონაწილეობით.

3.10.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრმა მოაწყო ნიკოლა

ელიასის საჯარო ლექცია თემაზე: „კავკასიის კარიბჭესთან: პონტოს მთების მუსიკა“.

12.10.2013 – ანსამბლი „სახიობა“ იმუოფებოდა ახალციხის სოფელ არალში, სადაც ჩატარდა გალობა-სიმღერის შემეცნებითი კონცერტი. კონცერტის ფარგლებში მოეწყო ფოტო და ვიდეოჩვენება, რომელმაც ადგილობრივ ახალგაზრდებს გააცნო ძველი ქართველი მომღერალ-მგალობლები, მათი მოღვაწეობისა და საგალობელთა ნოტებზე გადატანის ისტორია.

8.11.2013 – მ. ბერძენიშვილის სახ. დარბაზში „მუზა“ გაიმართა „წირვის სასწავლო დისკის“ პრეზენტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გორის, თელავის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურისა და თბილისის ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

15.11.2013 – თბილისში, წიგნის მაღაზია „ლიგამუშში“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოაწყო ნიდერლანდელი მუსიკოსის, მკვლევრის, ღოქეტორის – მაგდალენა კუნის საჯარო ლექცია თემაზე „კოპტური ლიტურგიული მუსიკა; ორთოდოქსული ქრისტიანული მუსიკალური კულტურა“.

16-17.11.2013 – ანსამბლმა „სახიობამ“ და მამა დავითის ტაძრის მგალობელთა გუნდმა მალხაზ ერქვანიძის ხელმძღვანელობით ჰყონდიდის ეპარქიაში, ქ. მარტვილის კულტურის ცენტრში ჩატარდა გალობა-სემინარი, რომელიც მიეძღვნა ქართული საეკლესიო გალობის ისტორიას, მის დავითისმახურებაში დაბრუნების პრობლემებს.

ნოემბერი, 2013 – საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ ანსამბლ „ბასიანეს“ მიენიჭა სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი და დაფუძნდა, როგორც სსიპ ანსამბლი „ბასიანი“.

ნოემბერი, 2013 – „ანჩისხატის ტაძრის გუნდმა“ გამოსცა საიუბილეო კომპაქტ-დისკი „ნადი“.

ნოემბერი, 2013 – ნინო კალანდაძე-მახარაძემ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში ჩატარდა თრენინგები ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკის პედაგოგებისათვის.

26.11.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მოეწყო „ანჩისხატის გუნდის“ მგალობლის, ზაალ წერეთლის წიგნის „სამინევმირებული კანონი“ პრეზენტაცია.

11.12.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრმა მოაწყო პრისტონის უნივერსიტეტის დოქტორანტის, ჯონ გრემის ლექცია თემაზე „კანდიდატურისა და

კაბოეირას რიტმები: ტრადიციული ბრაზილიური მუსიკა“.

19.12.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრმა მოაწყო ესპანელი ეთნომუსიკოლოგის, პოლო ვალეგორის ლექცია თემაზე: „მსოფლიო მრავალხმიანობის ფორმები“.

24.12.2013 – საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო წიგნის – „ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი“ (წმ. ფილიმონ მგალობლის (ქორიძის) და წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძის) სანოტო ხელნაწერების მიხედვით) – პრეზენტაცია (ავტორ-შემდგენლები: ვაჟა გვახარია, დავით შედლიაშვილი და ნინო რაზმაძე).

დეკემბერი, 2013 – გამოიცა ICTM-ის XIX სიმპოზიუმის მასალების კრებული, რომელშიც დაიბეჭდა ნინო მახარაძისა და ლომიტა სურმანიძის მოხსენებები ქართული ჩასაბერი საკრავების შესახებ.

24.12.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურის I კურსის სტუდენტმა გიორგი კრავეიშვილმა მუსიკის ოპორისა და კომპოზიციის ფაკულტეტის ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტებთან ჩატარა ლექცია პერული (კახის რაიონის) მუსიკალური ფოლკლორის შესახებ.

ექსპედიციები

3-16.08.2013 – მოეწყო ტბესც-ის ექსპედიცია პანკისში. ექსპედიციის წევრები: ნინო რაზმაძე, ქოთევან ბაიაშვილი (ნოემბერში მოეწყო ამ ექსპედიციის მასალების პრეზენტაცია).

3-6.10.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურის I კურსის სტუდენტი გიორგი კრავეიშვილი მართა ტარტარაშვილთან ერთად იმყოფებოდა ექსპედიციაში დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მცხოვრებ ინგილოვებთან.

21-23.10.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურის I კურსის სტუდენტი გიორგი კრავეიშვილი მართა ტარტარაშვილთან ერთად იმყოფებოდა ექსპედიციაში კახის რაიონში.

ივნისი, 2013 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ეთნომუსიკოლოგიურმა მიმართულებამ მოაწყო ექსპედიცია ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვაში. ექსპედიციის წევრები: თამაზ გაბისონია და ქოთევან ბაიაშვილი.

ივლისი, 2013 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ეთნომუსიკოლოგიურმა მიმართულებამ მოაწყო ექსპედიცია დედოფლისწყაროს რაიონში. ექსპედიციის წევრები: თამაზ გაბისონია და ნინო კალანდაძე-მახარაძე (ნოემბერში მოეწყო ამ ექსპედიციის მასალების პრეზენტაცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში).

27.11.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების მიერ 2011 წლის ნოემბერში რაჭაში მოწყობილი ექსპედიციის მასალების პრეზენტაცია. ექსპედიციის წევრები: ოთარ გაპანაძე (ხელმძღვანელი), თეონა ლომსაძე, სოფო კოტრიკაძე, ნინო ჩიტაძე.

9.12.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების მიერ 2013 წლის აპრილში აჭარაში, ქედის რაიონში მოწყობილი ექსპედიციის მასალების პრეზენტაცია ექსპედიციის წევრები: თეონა რუხაძე (ხელმძღვანელი), თეონა ლომსაძე, სოფო კოტრიკაძე.

გასტროლები

ანსამბლმა „რუსთავმა“ გასტროლებით იმოგზაურა:

3.06.2013 – თურქეთი, ქ. სამსუნი – მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი.

4.07.2013 – ნორვეგია, ქ. ფორდე – ტრადიციული და მსოფლიო მუსიკის ფესტივალი;

1.08.2013 – ჩინეთი, ქ. პეკინი, ქართული კულტურის დღეები.

10.08.2013 – შვეიცარია, ქ. სიონი – საერთაშორისო ფესტივალი Music Sion Valais;

26.22.2013 – რუსეთი, ქ. მოსკოვი – ოლეგ კაგანის სახ. ფესტივალი.

12-13.09.2013 – ანსამბლი „ბასიანი“ მიწვეული იყო პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში სოლო კონცერტების გასამართად.

14-15.12.2013 – ანსამბლმა „დიდგორმა“ გამართა ორი სოლო კონცერტი რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში (პირველი – თანამედროვე ხელოვნების ცენტრში, მეორე კი – სამების ტაძარში).

კონცერტები და საღამოები

9.06.2013 – ანსამბლმა „შავნაბადამ“ გამართა სოლო საანგარიშო კონცერტი კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში

11.06.2013 – თბილისში, რუსთაველის თეატრში ფონდმა „ქართულმა გალობამ“ გამართა ქართული ტრადიციული მუსიკის კონცერტი.

16.06.2013 – ანსამბლმა „დიდგორმა“ გამართა სოლო კონცერტი დაბა სტეფანწმინდაში, წმ. ილია მართლის სახელობის სკოლა გიმნაზიაში, პროექტის – „ჩემო კარგო ქვეყანავ“ – ფარგლებში.

20.06.2013 – ანსამბლმა „შავნაბადამ“ გამართა სოლო კონცერტი ქ. ლანჩხეუთში.

6.07.2013 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრის დარბაზში გაიმართა ამავე უნივერსიტეტის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდის კონცერტი (ხელმძღვანელი თ. გაბისონია)

7.07.2013 – თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ქალთა ფოლკლორული ანსამბლ „ნანინა“ სოლო კონცერტი, რომელიც ანსამბლმა შექმნის 10 წლისთავს მიუძღვნა.

2.08.2013 – საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა წმინდა ილია მართლის ხევების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, სადაც სცენაზე კოლექტიურად პირველად შესრულდა ტრადიციული ჰერული ხალხური სიმღერები ინგილოვების მცირერიცხოვანი ჯგუფის მიერ.

17.09.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა აფხაზეთის ომის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სალამო-კონცერტი „გიუვარდეს და გადარჩები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „დიდგორმა“.

1.10.2013 – ქ. წოხატაურში გაიხსნა ვლადიმერ ბერძნიშვილის სახელობის სალოგბარო სკოლა, რასაც მიეძღვნა ანსამბლ „შავნაბადას“ კონცერტი ცნობილ გურულ მომღერლებთან ერთად.

27.10.2013 – ქ. რუსთავის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა რუსთაველაქობისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა „მე რუსთველმა“ და „თუთარჩელამ“.

11.11.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების ორგანიზებით გაიმართა საქალმოქმედო კონცერტი „ერთად მოვუაროთ ხელნაწერებს“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „დიდგორმა“.

15.11.2013 – ქ. ოზურგეთის თეატრში გაიმართა ცნობილი გურული მომღერლების, გური და ტრისტან სიხარულიძეების შემოქმედებით სადამო, მათი ახალი კომპაქტ-დისკისა და აზოვ ერქომაიშვილის წიგნის – „გური

და ტრისტან სიხარულიძეები“ – პრეზენტაცია.

22.11.2013 – ქ. რუსთავის მუნიციპალურ თეატრში გაიმართა წმ. გიორგისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა „მე რუსთველმა“ და „თუთარჩელამ“.

22.11.2013 – ანსამბლმა „დიდგორმა“ მონაწილეობა მიიღო ჰერეთში, კახის წმ. გიორგის ტაძარში ჩატარებულ საზეიმო დვოთისმსახურებაში.

23.12.2013 – საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიწვევით ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნანინა“ თბილისის ხანდაზეულთა სოციალურ ცენტრში საქველ - მოქმედო კონცერტი გაიმართა.

1.12.2013 – ქ. ბათუმში გაიმართა ანსამბლ „სახიობისა“ და ბათუმის ფერისცვალების ეკლესიასთან არსებული მომღერალ-მგალობელთა გუნდის „ფერისცვალების“ ერთობლივი კონცერტი, რომელიც ჩაიწერა DVD დისკზე.

2.12.2013 – სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) პირთა დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: „აღსავალი“, „დიდგორი“, „იალონი“, „კვირია“, „ლაგუშედა“, „ნადი“.

12.12.2013 – თბილისის რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში გაიმართა ანსამბლ „ანჩისხატის“ საიუბილეო კონცერტი, რომელიც მისი შექმნის 25 წლისთავს მიეძღვნა.


16.12.2013 – თბილისის გრიბოედოვის თეატრში მოეწყო ხალხური პოეზიის სადამო „ლექსო, არ დაიკარგები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც რეგიონულმა, ისე თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

18.12.2013 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა მგალობელ გოგონათა გუნდის „იალონის“ სოლო კონცერტი.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ დაწვრილებით იხილეთ: www.folk.ge

მოამზადა მაკა ხარძიანმა

ცნობილი უცხოელი ეთნომუსიკოლოგები დიტერ ქრისტენსენი



დიტერ ქრისტენსენი

მნელია დავასახელოთ ეთნომუსიკოლოგიის სფეროში რომელიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციია, რომელთანაც 1960-იანი წლებიდან არ უთანამშრომლია ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორსა და მრავალი წლის განმავლობაში კოლუმბიის უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის ცენტრის დირექტორს, დიტერ ქრისტენსენს: იყო 0 უნისკო-ს, ეთნომუსიკოლოგიური საზოგადოების, ფოლკლორული მუსიკის საერთაშორისო საბჭოსა და ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოს აღმასრულებელ და დირექტორთა საბჭოების წევრი, სხვადასხვა კომიტეტის თავმჯდომარე და გენერალური მდივანი, მათი გამოცემების, მათ შორის, ტრადიციული მუსიკის ბიულეტენისა და ყოველწლიური კრებულის (Yearbook), აგრეთვე, 0 უნისკო-ს ტრადიციული მუსიკის კრებულის რედაქტორი 1980-იანი წლებიდან....

ჩვენ განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს ბ-ნ დიტერთან, როგორც ქართული კულტურის მეგობართან 2001 წლიდან, როცა მან დიდი დახმარება აღმოუჩინა ბ-ნ ანზორ ერქმაძიშვილს 0 უნისკო-ში ქართული პოლიფონიის აღიარების საკითხის განხილვისას; 2002 წლიდან კი იგი მუდმივად გვიდასტურებს თავის ერთგულებას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებში მონაწილეობით და სხვა გამოჩენილ მკვლევრებთან ერთად განსაზღვრა მისი მაღალი მეცნიერული დონე. ჩვენი ცენტრის დაარსებიდან 10 წლისთავზე დიდი მაღლიერებით ვიგონებთ, რომ 2003 წელს იგი

იყო თბილისის კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის დაარსების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი და მისი საერთაშორისო საბჭოს წევრი. ასევე დიდია მისი დამსახურება ჩვენი სიმპოზიუმის პოპულარიზაციაში, მისი რეკომენდაციით თბილისის სიმპოზიუმს არა ერთი მეცნიერი ეწვია, ხოლო 2012 წელს VI სიმპოზიუმზე სწორედ მისი ინიციატივით დაიგეგმა მრგვალი მაგიდა თემაზე ახალი მოხაზუებები ადამიანის კოლექციასა და ქცევაზე – მრავალხმიანობის როლი თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბებაში.

განათლება:

1950-1953 – მუსიკის სახელმწიფო უმაღლესი სკოლა ბერლინი/გერმანია, ვიოლონჩელო;

1953-1957 – ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი, მუსიკოლოგია (შედარებითი და ისტორიული მუსიკოლოგია) და ანთროპოლოგია; ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი; ხელმძღვანელები: კურტ რაინჰარდი, პ.კ. დრაგერი (მუსიკოლოგია), რიხარდ ტრუნგალდი, ს. ვესტფალ-ჰელბუში (ანთროპოლოგია).

ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში შედარებით მუსიკისმცოდნებასა და ანთროპოლოგიაში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მინიჭების შემდეგ დიტერ ქრისტენსენი იყო ბერლინის ფონოგრამების არქივის დირექტორი და ასწავლიდა ამავე უნივერსიტეტში. 1971 წელს გადავიდა ნიუ იორკში, სადაც მიიღო პროფესორის თანამდებობა და სათავეში ჩაუდგა კოლუმბიის უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის ცენტრს. იგი ასევე ასწავლიდა ვესლეინისა და ნიუ იორკ სითის (აშშ), ჰამბურგის (გერმანია), ლისაბონის (პორტუგალია) უნივერსიტეტებში; მისი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევა ეძღვნება ბაბუა ახალი გვინეის, ტუვალუს, ცენტრალური მექსიკის, ბალკანეთისა და დასავლეთ აზიის მუსიკას. მეცნიერის მრავალრიცხვან პუბლიკაციებს შორისაა სტატიები ბოსნია-ჰერცოგოვინას მუსიკალურ ტრადიციებზე, რომლებსაც საფუძვლად უდევს ამ რეგიონში 1957-1974 წლებში საველე ექსპედიციების დროს მეუღლესთან – ნერტუს ქრისტენსენთან ერთად მოპოვებული ხმოვანი ჩანაწერები. გარდა ცენტრალური ევროპისა, მან საველე ექსპედიციებით მოარა ჩრდილოეთ ნორვეგია, მექსიკა, ირანი ომანის სასულთნო, თურქეთი.

მისი უახლესი წიგნი (საღვა კახეტელო ბრანჯოსთან ერთად) ეძღვნება სამხრეთ არაბეთის ტრადიციულ ხელოვნებას – მუსიკას სოპარის საზოგადოებაში, ომანის სასულთნოში. 1960-იან წლებში მან დაიწყო თურქეთში მცხოვრები ქურთების მუსიკალური ფოლკლორის კვლევა. 2007 წლიდან იგი კვლავ მიუბრუნდა ამ თემას, თუმცა ამჯერად დაიწყო გერმანიაში ქურთული დიასპორის ფოლკლორის შესწავლა, რაზეც განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობს 2010 წლიდან, აშშ-დან გერმანიაში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ.

კველაფერთან ერთად, ბატონი დიტერი უაღრესად საყვარელი და კომუნიკაბეჭლური პიროვნებაა – მისი ულევი ოპტიმიზმი და იუმორი საოცრად სასიამოვნოს ხდის მასთან ურთიერთობას.

ბატონ დიტერს კუსურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ, ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას, ჩვენს ცენტრს კი – ღიადხანს მასთან ურთიერთობის ბედნიერებას!

ტრადიციული ხელოვნების ფესტივალი „NEWნადიმი“ თელავში



ფესტივალის პროგრამა

უკვე რამდენი წელია, თელავის შემოდგომას ელისო ვირსალაძის ფესტივალები ამჟღვენებს. 2013 წლის 13-დან 19 ოქტომბრამდე თელავის ნადიგვარის პარკში გაიმართა მეორე ფესტივალიც – NEWნადიმი, რომელიც ტრადიციული ხელოვნებისა და კულტურის დარგების განვითარებას ისახავს მიზნად და კულტურათა და ტრადიციათა

ინტეგრაციას გულისხმობს. წამყვანი სფეროები იყო კერამიკული და საფეიქრო ხელოვნება და ხალხური მუსიკა. გაიმართა საერთაშორისო გამოფენები, პროფესიული და საზოგადოებრივი მასტერკლასები, დისკუსიები და კონცერტები. NEWნადიმის მოცანა – უნიკალური, რეგიონისათვის დამახასიათებელი ტრადიციების შენარჩუნება, მათი განვითარება, მაღალი ხარისხის და შინაარსის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შემუშავება და ბუნებრივი გზებით თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა იყო. ფესტივალის ორი დღე (19-20 ოქტომბერი) დაეთმო ხალხურ სიმღერას. ამ იდეის ავტორები და სულის ჩამდგმელები გახლდო ანა რიაბოშენკო და მართა თაბუკაშვილი, ხოლო განმახორციელებლები – ეთნომუსიკოლოგები ნინო კალანდაძე-მახარაძე და თამაზ გაბისონია. ორი დღის განმავლობაში უხვად უფინებოდა თელავს მაღლიანი კაური სიმღერის ჰანგები.

ამ ფესტივალის უპირატესობა, ხალხური სიმღერის სხვა ფესტივალებთან შედარებით, ის იყო, რომ მასზე მრავლად წარმოჩნდნენ აქამდე უცნობი კოლექტივები. განსაკუთრებით სასიხარულო ბავშვთა კოლექტივების გამოჩენა იყო.



ფესტივალის აფიშა

მიუხედავად ერთგვარი გეოგრაფიული შეზღუდვისა, პროგრამა მაინც მრავალფეროვანი იყო. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ თელავის, ახმეტის, საგარეჯოს, გურჯაანის, დედოფლისწყაროს ფოლკლორული ჯგუფები. საინტერესო იყო ზოგიერთი ანსამბლის ორი თაობის გამოსვლა (ანსამბლი „ხარება“ გურჯაანის რაიონიდან და ანსამბლი „ხორ-

ნაბუჯი“ დედოფლისწყაროს რაიონიდან). მათი რეპერტუარი მოიცავდა, როგორც ძველ, მივიწყებულ ვარიანტებს, ისე – ყველასათვის კარგად ნაცხობ ნიმუშებს; როგორც სიმღერებს, ისე – საფერხულოებსა და საცეკვაოებს, ხალხური სიმღერების პოპურებს ქალთა, მამაკაცთა, ბავშვთა შესრულებით. საინტერესო იყო დაკვირვება ამ ანსამბლების აშეარად გამოხატულ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ საშემსრულებლო მანერაზე.

ფესტივალის ორგანიზატორთა მაღისებრებით, უპირატესობა ავთენტურ შემსრულებლობას ენიჭებოდა, თუმცა, სასცენო ტრადიციების ევროპული სტილისა და დირიჟორული ნორმების დამცველებიც გამოჩნდნენ ბავშვების მიერ კახური სიმღერის შესრულებისას.

ფესტივალის პროგრამა ითვალისწინებდა შემსრულებლებისა და ეთნომუსიკოლოგთა შეხვედრასაც, რამაც თავისი ნაყოფი გამოიდო: მუსიკოლოგის ღოქტორებმა ნინო კალანდაძემ და თამაზ გაბისონიამ, თბილისის კონსერვატორიის მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელმა რუსულან წურწუმიამ, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკალური



ანსამბლი „პატარა კახი“

განყოფილების გამგემ – ეთნომუსიკოლოგმა ნანა ვალიშვილმა და სხვებმა, ანსამბლების ხელმძღვანელებსა და შემსრულებლებს მეთოდური დახმარება გაუწიეს: განუმარტეს ძველი, აშენებული სიმღერების ძებნის საჭიროება. ასევე გადასცეს ლიტერატურაში არსებული და მივიწყებული სიმღერებისა და რიტუალების სია, რომელიც, იმედია, მომავალ ფესტივალებს ბევრად მრავალფეროვანსა და საინტერესოს გახდის.

ფესტივალის ხელმძღვანელობამ მონაწილე ანსამბლებს მეტად ღირებული საჩუქრები გადასცა: ხალხური სიმღერების ძველი

ჩანაწერების კომპაქტ-დისკები და მაგნიტოფონები, რაც მათ შემდგომ მუშაობაში დიდად წაადგებათ.

ამგვარად, ეს არ იყო მხოლოდ საშემსრულებლო ფესტივალი, არამედ მას ბევრად დიდი მიზანი – სიმღერის შემსრულებლობაში მეთოდური დახმარების ფუნქციაც პქონდა. ეს კი, მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი საქმეა სამომავლოდ. ალბათ, აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხური სიმღერის ფესტივალი თელავში ელისო ვირსალაძის ფესტივალის პარალელურად მიმდინარეობდა. ჩამოსული სტუმრებისათვის ეს ფაქტი, სწორედ რომ მისწრება იყო. მათ საშუალება მიეცათ რაფინირებული კლასიკური მუსიკის გვერდით ტრადიციული მუსიკის ძირძველი და ძარღვიანი კახური სიმღერაც მოესმინათ. ეს კი ნამდვილი ფუფუნებაა.

**ქეთევან ბაიაშვილი,
ეთნომუსიკოლოგი, ტბესცის საქციალისტი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი**

უცხოური მრავალხმიანობა

მასაის ტომის ტრადიციული მრავალხმიანობა



მასაის გეოგრაფიული მდებარეობა

მასაის ტომები ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აფრიკული ეთნიკური ჯგუფია. მასაების რაოდენობა დაახლოებით მილიონამდევა, რომელთა უმრავლესობა კენიაში ცხოვრობს, ნაწილი კი – ჩრდილოეთ ტანზანიაში.

ისინი ნილოტების ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან და დაახლოებით მე-16 საუკუნეში ემიგრირდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკიდან აღმოსავლეთ აფრიკის საგანაში, სუდანის გავლით. მათი ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობაა; აქვთ საკუთარი ენა – მააზე, ფლობენ ასევე სუპილს, ბევრი კი – ინგლისურსაც. მათი ცხოვრების ნირის სხვადასხვა მსარეზე დიდი გავლენა იქნია მეზობელმა კუშიტურმა ტომებმაც. არსებობს ორიგინალური თავისებურებებით ერთმანეთისგან გამორჩეული მასაების თორმეტი ტომი.



„მასაების ხტომა“

მასაებს პატრიარქალური სოციუმი აქვთ, მონოთეისტები არიან და თაყვანს სცემებს და ლოთაება ენკაის (Enkai ან Engai), რომელსაც ორმაგი ბუნება აქვს: კეთილგანწყობილისა და შერისმაძიებელის. არიან ასევე ქრისტიანი და მუსლიმი მასაებიც (ეს უკანასკნელი – მეტად მცირე რაოდენობით). ამ ტომის რელიგიურ სისტემაში ცენტრალური როლი ენიჭება ქურუმ ლაიბონს (Laibon), რომელიც ითავსებს წინასწარმეტყველებას, მკითხაობას, კურნებას, ნადირობის წარმატების განსაზღვრას და კარგი ამინდის მოწვევას, ზოგჯერ – პოლიტიკურ უფლებებსაც.

მასაების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალია ბაგშვთა წინდაცვეთა (emorata) როგორც კაცებში, ასევე ქალებში, რომელიც გაუტკივარების გარეშე ტარდება. აღსანიშნავია, რომ ამ ჩვეულების ქალისტვის განსაკუთრებულად სახითათო შედეგების გამო ბოლო დროს წინდაცვეთის ცერემონია „სიტყვით წინდაცვეთის“ რიტუალით იცვლება – მხელოდ ცეკვითა და სიმღერით.

მასაები სახელგანთქმული მეომრები და მონადირენი არიან. სასახელოდ ითვლება ახალგაზრდის მიერ ლომის მოკვლა (ამჟამად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლომი საოჯახო მეურნეობას აზარალებს). ცნობილ სათავადასავლო ფილმში „მოჩვენება და ბნელეთი“ (The Ghost and the Darkness) სწორედ

მასაების ნადირობისწინა რიტუალია ასახული სიმღერითა და ხტომითი ცეკვით.

მასაების მთავარ სიმღიდრედ ითვლება საქონლისა და შეკილების სიმრავლე. აქ ბოლო დრომდე გავრცელებული იყო პოლიგამია (როგორც ამბობენ, წინა საუკუნეში ბუზი ცეცეს ნაკბენის ეპიდემით მამაკაცთა რიცხვის შემცირების გამო) და პოლიანდრია.

მუსიკა და, განსაკუთრებით, გუნდური სიმღერა, ცეკვასთან ერთად, მასაების თვითგამოხატვის ძირითადი საშუალებაა. სიმღერის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ლიდერის – ოლარანიანის (olaranyani) მელოდიურ ფრაზაზე გუნდის პოლირიტული პასუხი. სოლისტის როლს ზოგჯერ რამდენიმე მომღერალი ასრულებს. ოლარანიანის საწყის ფრაზას, ერთგვარ სათაურს – ნამბას – გუნდი ერთსულოვანი ფრაზით პასუხობს. ზოგიერთის აზრით, ეს სიტყვა კოლონიური პერიოდისაა და ინგლისური number-იდან (მნიშვნელობით „ნომერი“) მომდინარეობს.

რესპონსორიუმი ქალთა სიმღერების-თვისაცაა დამახასიათებელი, თუმცა, მამაკაცი სოლისტის კუპლეტები ხშირად გუნდის ხორხისმიერი ხმების ფონზე მიმღინარეობს, ქალი მასაებისთვის კი არაა დამახასიათებელი ხორხისმიერი მღერა. დიდი ჯგუფის მიერ შესრულებისას ისმის ერთგვარი შეძანილები და, ასევე, „მაკიპნოზირებელი ზუზუნიც“. ხდება 5/4, 6/4 და მეტრის ვარირება. პარტიათა პოლირიტულ სტრუქტურას ხშირად საფუძვლად უდევს გლოსოლალიები შემდეგი მარცვლების კომბინაციით: ლა-ლე-ო-ეო (la-ley-eo).

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეფექტს პოლიფონიური სინკოპირება ქმნის, რომელიც, ძირითადად, მომღერალთა პეტეროფონიული, თავისუფალი განვითარების პარტიებით მიიღწეა, რაც ხშირად პოკეტის სტრუქტურას ქმნის. მიუხედავად პოლიფონიური მოცვისა, ხშირია გარკვეული ჯგუფის მიერ მელოდიის უნისონში შესრულებაც. ამგვარ სიმღერაში ასევე სახასიათო ბურდონული ბანის გამოყენება, რაც მასაებს სხვა აფრიკული ტომებისგან გამოარჩევს. თუმცა, ზოგადად, მასაების მღერა ძირითადად ოსტინატურ პრინციპს ემყარება.

როგორც მამაკაცები, ასევე ქალები სიმღერას ხშირად შეჯიბრის, სხვაზე აღმატებულობის დემონსტრირების საშუალებად იყენებენ. ტექსტები უმეტესად იმპროვიზაციულია. სიმღერებით მიმართავენ დვთაებასაც. ქალები მდერიან ბაგშვის დაძინების, ძროხის წველის დროსაც. ბოლო დროს პოპულარული გახდა ქრისტიანული ჰიმნები სუაჰილის

ენაზე. ეს სიმღერები, მსგავსად „პოლიტიკური მხარდაჭერის“ უანრის სიმღერებისა, საკმაოდ განსხვავდება მასაების ტრადიციული სიმღერებისაგან ფორმითაც და მუსიკალური შინაარსითაც.

მასაების ვოკალურ კულტურას მხოლოდ მცირედ ენაცვლება სასულე საქავ კუდუზე (Kudu) დაკვრა, რომელიც მეომრების (მორანების) კურთხვის ცერემონიაზე – ეუნოტოზე (Eunoto) მოხმობას ემსახურება. ეს რიტუალი ზოგჯერ ათ დღეზე მეტ ხანს გრძელდება და გაჯერებულია ცეკვა-სიმღერით. ამ დროს ლოოდოკილანის ტომის მასაები ერთგვარ აღლუმს ატარებენ – „ადუმუს“ (adumu) ან „აიგუს“ (aigus) (მაას ენაზე ეს ზმები „ხტომას“ ნიშნავს), რასაც მათი შემყურენი „მასაების ხტომას“ ეძახიან. ესაა ერთგვარი შეჯიბრი ხტომაში, რომლის დროსაც მხტომელი არ უნდა იცვლიდეს სწორ მდგომარეობას და ქუსლით არ უნდა ეხებოდეს მიწას. ხტომის სიმაღლეზე ხშირად ხმის მაღალი პოზიციაცაა დამოკიდებული. გარდა ხტომისა, მასაების სიმღერის დროს, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვისას მეტად სახასიათოა კისრის რიტმული მოძრაობაც.



გოგონები აღლუმზე

მორანების აღლუმზე მათი ოვალსაჩინოდ აღკაზმული მეგობარი გოგონების ყოფნაც რიტუალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. აქ მეომართა დედებიც მდერიან და ცეკვავენ, რითაც საკუთარ შვილებს აქებენ.

სიმღერები და ცეკვები ხშირად ახლავს რიტუალ მანიატას (manyatta), რაც ჭაბუკების და გოგონების ერთგვარ არშიყს გულისხმობს. ვაჟები ერთ ხაზზე ეწყობიან და რიტმულად გასძახიან: „ოოოჳ-იაჳ!“ ოხვრითა და ხველების ინტონაციით, აგრეთვე – სხეულის ქვედა ნაწილის ბიძგებით; ვაჟების წინ მდგომი გოგონები მსგავსი მოძრაობებით გამოიხატათ.

ბით პასუხობენ: „ოიიიო-იო!“. ახალგაზრდები ამ დროს ერთმანეთს არ ეხებიან.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ურბანიზაციის დამაქნინებელი ზეგავლენისა, მასაების ბევრი რიტუალი კვლავაც ინარჩუნებს აქტუალობას, რაც ძირითადად, დიდი ტურისტული ინტერესითაა განპირობებული. თუმცა მასაების „ავთენტიკური“ მდერა (რასაც მენეჯერები ტურისტების წინაშე ხაზს უსვამენ) ტირაჟირების გამო (ხშირად სასტუმროების ვესტიბულებში და რესტორნებში) აშკარა სახეცვლას განიცდის, რაც გამოიხატება მუსიკალურ შინაარსში, არატრადიციული საკრავებისა და არატიპური საცეკვაო მოძრაობების შემოტანაში.

თამაზ გაბისონია
მუსიკოლოგიის დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი „სათანაო“

ანსამბლი „სათანაო“ 2005 წელს შეიქმნა ჯვრის მამის ტაძრის მგალობელ გოგონათა გუნდის ბაზაზე, რომელთაც აღნიშნულ ტაძარში გალობა 1980-იანი წლების ბოლოს დაიწყეს. ეს ის დრო იყო, როცა საბჭოთა ათეისტური ცენტრის გამო, უძველესი ტრადიციების მატარებელი და თაობათა მიერ მივიწყებული ქართული საეკლესიო გალობა, ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის მიერ სხვადასხვა არქივში დაცული ხელნაწერებიდან კალავ ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა.



ანსამბლი „სათანაო“

ჯვრის მამის მგალობელი, ანსამბლის პირველი თაობა – ქეთევან მათიაშვილი, ტაბიანა მეგრელი (ანსამბლის ხელმძღვანელი), თინათინ უვანია, ნანა მუავანაძე და თამარ თოლორდავა – ანჩისხატელების კვალდაკვალ, აქტიურად ჩაებნენ ქართული საეკლესიო გალობის აღდგენისა და მათი ლიტურგიკულ პრაქტიკაში დანერგვის პროცესში. ისინი წლების განმავლობაში გალობდნენ ჯვრის მამის ტაძარში. თუმცა დაოჯახებისა და ცხოვრებისეული პირობების შეცვლის შემდეგ, გელარ ახერხებდნენ მფლებურად აქტიურ მოღვაწეობას.

2005 წლიდან ისინი კვლავ იკრიბებიან განახლებული ძალებით – ახალი წევრებითა და გამრავალფეროვნებული რეპერტუარით. სწორედ ამ დროს დაირჩეს სახელიც – „სათანაო“, რაც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, „თანგაუყარად სათანაოს, თანამდებობას ასახულ არის“ ნიშნავს. ქართულ სიმღერა-გალობასთან სწორედ ამგვარმა დამო-

კიდებულებამ განსაზღვრა ანსამბლისათვის სახელის შერჩევა.

ანსამბლის წევრთაგან უმრავლესობა მუსიკოსია, გალობს ტაძარში და, ამავდროულად, ეწევა საგანმანათლებლო მოღვაწეობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ანსამბლის ხელმძღვანელი ტატიანა მეგრელიძე – პროფესიონალ გუნდის დირიჟორია, ქეთევან მათიაშვილი – მუსიკისმცოდნე, ფოლკლორისტი, თამარ თოლორდავა – მუსიკისმცოდნე, ორორეგისტრისტი, ნანა მუავანაძე – მუსიკისმცოდნე, ისტორიკოსი, დაცულებულებების მატერიალური კულტურისტი, ხამბეჭდისა და გუნდის დირიჟორი, ეკატერინე შოშიაშვილი – ხალხური გუნდის ლოგბარი, საეკლესიო გუნდის მგალობელ-რეგენტი, სოფიო მეგრელიძე – ეკონომ-გეოგრაფი, ქეთევან კაკოიშვილი – გუნდის დირიჟორი, თამთა ჯაფარიძე – სტომატოლოგი.

ანსამბლის რეპერტუარი ძველი საარქივო ჩანაწერებითა, და ასევე, თვით ანსამბლის წევრთა მიერ მოპოვებული საექსპედიციო მასალით საზრდოობს და საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და უანრის ნიმუშებს მოცავს.

ანსამბლს მკაფიოდ გამოხატული შემოქმედებითი პრინციპები და მხატვრული სახე აქვს. სიმღერა-გალობის თქმისას „სათანაოს“ თავისი მრწამსი და გამორჩეული ესთეტიკა გააჩნია, რაც გამოხატულია ქართული სიმღერის შემსრულებლობაში დამკიდრებული ორი ძირითადი მიმღინარების – ავთენტურისა (ხალხურად მღერა) და „კლასიკურად“ წოდებულის (პროფესიული მუსიკის საშემსრულებლო პრინციპების დაცვა) შერწყმით.



„სათანაო“ დიდ პრიტანეთში

ანსამბლის წევრები, გარდა საგალობლებისა, ასრულებენ ქალთა, მამაკაცთა, ქალაქურ სიმღერებს, საფერხულოებსა და საცეკვაოებს. უკრავენ სხვადასხვა ხალხურ საკრავზე – ჩონგურზე, ფანდურზე, ჭუნირზე, ჩანგზე, დაირაზე. ცდილობენ, გააცოცხლონ მივიწყებული სიმღერები და ვარიანტები.

ანსამბლს ორი კომპაქტ-დისკი აქვს გამოცემული – 2008 და 2011 წელს, ხოლო მოდევნო თრი – შოტლანდიელთა დაკვეთით ჩაწერილი აქვის ნახების სასწავლო დისკი და „იქსო ტკბილის პარაკლისი“ – გამოსაცემად არის გამზადებული.

„სათანაო“ საგასტროლო ტურით რამდენჯერმე იმყოფებოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში:

2008 წლის ივნისში ანსამბლმა ქალაქ კიოლნიში (გერმანია) გამართულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა, რომელსაც ადგილობრივი პრესიდან მოჰყვა გამოხმაურება – კიოლნის რადიოში ჩაიწერეს ანსამბლის ინტერვიუ.

ავსტრიული ორგანიზაციის „Wiener Volksliedwerks“ მიწვევით „სათანაო“ ორჯერ იმყოფებოდა ქ. ვენაში – 2008 წელს და 2011 წლის სექტემბერში.

2010 წლის დეკემბერში, ანსამბლი არასრული შემადგენლობით იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში, რომელსაც წინ უძღვდა „სათანაოს“ ერთ-ერთი წევრის, ნანა მუავანაძის ინტერვიუ BBC-ის რადიოს ეთერში.

2012 წლის მაისში ინგლისური ორგანიზაცია „Geomusica“-ს მიწვევით, „სათანაომ“ მოაწყო მეორე საკონცერტო ტურნე ინგლისში.

მომავალი, 2014 წლისათვის ანსამბლი პირველი სოლო კონცერტის გამართვას აპირებს. ასევე, გეგმავს „იქსო ტკბილის პარაკლისის“ დისკის პრეზენტაციას. ამავე წლის 14-29 ივნისს კი ანსამბლ სათანაოს სამი წევრი – ტატიანა მეგრელიძე, ნანა მუავანაძე და თამარ თოლორდავა „Northern Georgian Society“-ის მიწვევით კვლავ ესტუმრებიან ინგლისს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ამ ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ მასტერ-კლასებში, კონცერტებსა და კულტურულ ღონისძიებათა სერიაში.

ეგა შოშიაშვილი
ანსამბლ სათანაოს წევრი

ექსპედიციის დღიური

მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ექსპედიცია პანკისის ხეობაში

დღევანდელი ეთნომუსიკოლოგის მოთხოვნების შესაბამისად, შეუძლებელია ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კვლევა მეზობელი და განსაკუთრებით კავკასიური კულტურის გაუთვალისწინებლად. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას ყოველთვის მჭირო კავშირი ჰქონდა ჩრდილოებისაურ რესპუბლიკებთან, განსაკუთრებით, მათვის კადრების მომზადების თვალსაზრისით, თუმცა ქართულ-კავკასიურ მუსიკალურ ურთიერთობებს თანმიმდევრულად მხოლოდ რამდენიმე ქართველი მეცნიერი იკვლევდა (ნ. მაისურსაძე, მ. შილაკაძე).

კვლევის ამ მიმართულების შემდგომი განვითარება ტმკცის ერთ-ერთ პრიორიტეტთაგანია.

სწორედ ამ მიზნით, მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით 2013 წლის 3-16 აგვისტოს საველე ექსპედიცია მოაწყო პანკისის ხეობაში, სადაც ჩრდილოკავკასიულები – ჩეხენები ანუ, როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ, ქისტები ცხოვრობენ.

ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ: ქათევან ბაიაშვილი (ცენტრის საეციალისტი), ექსპედიციის ხელმძღვანელი), ნინო რაზმაძე (ცენტრის საეციალისტი), ილია ჯლარკავა (ხმის ოპერატორი), გიორგი ხუციშვილი (კონორერატორი და მძღოლი).

ექსპედიციამ მოიარა სოფლები: დუისი, ჯოყოლო, ომალო, ბირკიანი, დუმასტური, ყვარელწყალი, დედისფერული, ქორეთი.

პანკისის ხეობის ახლანდელი მკვიდრი ჩეხენები, ინგუშებთან ერთად, ვაინა-ხებად იწოდებიან. თავის თავს „ნოხებებს“ უწოდებენ. ვაინახი მათხავე ენაზე „ჩვენს ხალხს“ ნიშნავს. ისინი ამ ეთნონიმით თავის თავს დანარჩენი კავკასიელებისგან გამოყოფენ. ეს ორი ხალხი კავკასიის ძირეული მოსახლეობაა. მათი ენა ჩრდილო კავკასიური ენების ოჯახთა ნახურ ჯგუფს მიე-

კუთვნება.

ვაინახთა საქართველოში თავდაპირველი დასახლება დასტურდება ძვწ. აღ. III ს. მეფე ფარნავაზის ძის – საურმაგის დროს. პანკისის ხეობაში ქისტების ჩამოსახლება თარიღდება XVIII-XIX საუკუნეებით.

მიგრირებული ქისტების ძირითადი ნაწილი „მთური რელიგიის“ (წარმართობისა და ქრისტიანობის სინთეზი) მატარებელი ყოფილა, 1886წ. ქრისტიანული მისიონერული საზოგადოების მიერ ბევრი მონათლულა ქრისტიანად. შემდეგ კი პარალელურად ისლამი მიუღიათ. არქიმანდრიტ ანანია ჯაფარიძის გამოკვლევით, ეს პროცესი მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე გაგრძელებულა. დღეს ქისტები სუნიტური ისლამის მიმდევრები არიან, 20-ე საუკუნის ბოლო ათწლეულში ხეობაში ვაპაბისტები (ისლამის წიაღში წარმოშობილი სექტა) იყიდებენ ფეხს. ისინი ძირითადად ახალგაზრდები არიან, რომლებიც საყვედურობენ და ადანაშაულებენ უფროს თაობას არაბული ენისა და ყურანის არცოდნაში.

რაც შეეხება ქისტების იდენტობას, ისინი ოჯახურ გარემოში მშობლიურ ენაზე მეტყველებენ, განათლებას ქართულ სკოლებში იღებენ, ამდენად ყველამ იცის ქართული. ეთნოლოგ ვალერიან იოონიშვილის გამოკვლევითაც, ქისტები ორენოვანი ხალხია. რაც შეეხება მრავალცოლიანობას, მკვლევრის დაკვირვებით, ეს წესი შესუსტებულია. ექსპედიციის მასალებში მოიპოვება რამდენიმე ქალის მიერ გამოთქმული პროტესტი ამ ტრადიციის მიმართ.



დაკრძალვის ცერემონია

ქალები, როგორც ისლამის მიმდევრები, ალკოჰოლს არ ეკარებიან. შეახასემიწეულნი და მოხუცები თუთუნს ეწევიან, მამაკაცები – თრიაქს. ბევრი ოჯახი ახლა გროზნოშია გადასახლებული სამუშაოდ, მაგრამ სოფელთან და ხეობასთან კავშირს არ წევეტებ. ისინი სიამაყით იხსენებენ თა-

ვის წინაპრებს, რომლებიც პანკისის ხეობაში არიან დაკრძალული. ზოგადად, ქისტები სტუმარომოყვარე და კეთილგაბაწყობილი ხალხია. შვილებს ვაჟებაცობასა და უშიშრობას უნერგავენ. ძალიან უკვართ ცხენით ჯირითი. ცხენი მათ ეროვნულ იდენტობასთან იგივდება. გვერდიგვერდ სოფლებში სახლობენ ოსები, აჭარლები, წოვა თუშები და ფშავლები. მათ შორის ძირითადად კეთილმეზობლური დამოკიდებულებაა.



ლოცვის პროცესი

რაც შეეხება ქისტების მუსიკალურ ყოფას, ისინი გამოხატულად ვოკალური მრავალხმიანი კულტურის მატარებელთა რიგს მიეკუთვნებიან. ინსტრუმენტული მუსიკა აშკარად ჩრდილშია. სამწუხაროდ, ექსპედიციამ ვერსად მიაგნო მათ ტრადიციულ საჩხარუნებელ საკრავ „ფხაწის“ ან „დეჩიკ ფონდურს“. ხალხს მესიერებაში შემორჩენილი აქვს ეს საკრავები, მაგრამ ფიზიკურადაც კი არ აღმოჩნდა არც ერთ ოჯახში. ისევე, როგორც ყვალებან, აჭაც გავრცელებულია დოლი და გარმონი.

ექსპედიციის მიერ ჩაწერილია ერთ-, ორ- და სამხმიანი სიმღერები. მრავალხმიანობის ტიპი აქ, ძირითადად, ბურდონულია. მეტად საინტერესო ფორმები შეინიშნება მათი დვოთისმსახურების დროს შესასრულებელ ძიქრებში, რომელთა კვლევა ბევრ საინტერესო შრეს წარმოაჩენს.

როგორც აღვნიშნეთ, პანკისის ხეობაში ჩეჩნებთან ერთად ცხოვრობენ ოსები, აჭარლები, წოვა თუშები და ფშავლები. ექსპედიცია ასევე დაინტერესდა სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფების მუსიკალური ინტეგრაციის, დიფუზიისა და ასიმილაციის საკითხებითა და საერთო მუსიკალურ ყოფაში კონსერვაციისა და ინოვაციების მოქმედება-გავრცელების პროცესებით.

ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანი იყო მუსიკალურთან ერთად სხვა მონათესავე დარგების ნიმუშთა მოძიებაც. ჩაწერილია

ზეპირსიტყვიერი (ლექსები, მოთხოვდები, ლეგენდები), ისტორიული, ქორეოგრაფიული, ეთნოლოგიური, მსოფლმხედველობრივი, რელიგიური მასალები, შეძლებისდაგვარად, უანრული მრავალფეროვნების გათვალისწინებით: ყოფითი, სამონადირეო, საერო და სასულიერო, საგლოველი, შრომის, სალადობო, ბავშვთა დასაძინებელი, სალალაო, მაგიური, სამკურნალო, ამინდის მართვის, მწყემსური და სხვა ჟანრების მუსიკალური ნიმუშები. სხვათა შორის, ჩაწერილია აქამდე უცნობი წისქვილში სათქმელი ავი სულების გასაფრთხობი, ტყეში ქალების წასვლისას სათქმელი, ომში მიმავალი ვაჟების დალოცვა, მწყემსის უსალამუროდ სტერნი. ასევე სრულად გადაღებულია რამაზანის გახსნილებისა და გლოვის რიტუალები.

ექსპედიციაში ჩაწერილია 300 მგბ. ოდენობის მასალა, რომლის დამუშავება ამჟამად მიმდინარეობს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში.

ქეთევან ბაიაშვილი,
ეთნომუსიკოლოგი, ტბების სამუშავებელი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

უცხოური ფოლკლორული ანსამბლი სუბარტინების შემსრულებელი ჯგუფი „ტრის კეტურიოზე“

ჯგუფი „ტრის კეტურიოზე“ (დაინა ნორვაიშიტე, ეგლე სერეიჩიკიენე, რიმა ვისაკიენე, დაივა ვიჩინიენე და აუდრონე ჟილინსკიენე) ასრულებს ლიტვურ უნიკალურ მრავალხმიან სიმღერებს – სუბარტინებს. ამ სიმღერებს ლიტვური ფოლკლორის სხვა ნიმუშებისგან განასხვავებს სეკუნდების მრავლად გამეორება, ხმათა ჩახვევა, რიტმული სურათის აქცენტირება და ორი განსხვავებული ტექსტის (ძირითადისა და მისამდერის) ერთდროული ქდერა.

I *Trys ke - tu - rio - si li - ne - lius pa - sé - jau.*

II *Ke - tu - rios!*

III *1.Trys ke - tu - rios - si*
Ke - tu - rios!

I *Ke - tu - rios,* *ke - tu - rios.*

II *li - ne - lius pa - sé - - jau. Ke - tu - rios!*

III *-* *-* *Trys ke - tu...*

სუბარტინების ნიმუში

სახელწოდება სუბარტინების ნაწარმოებია ზმნიდან „სუბარტი“, რაც შეთანხმებას, ჰარმონიას ნიშნავს. მის შესრულებას მართლაც სჭირდება ჰარმონიულობის განსაკუთრებული შეგრძება შემსრულებლების შხრიდან, სუბარტინების ერთად მღერის ჩვევა. შემთხვევითი არაა, რომ უძველესი დროიდან სუბარტინების ასრულებს პატარა ჯგუფი (2-4 ქალი). ყველაზე მისაღებია სუბარტინების შესრულების სამი მომენტი: დვეინებს – „წყვილთა შესრულება“ (ორი მომღერლის კონტრაპუნქტი), ტრეინებს – „სამეულის შესრუ-

ლება“ (სამი მომღერლის მკაცრი კანონი) და „ოთხი შესრულება“ (დაწყვილებული მომღერლების ანტიფონური კონტრაპუნქტი).



ჯგუფი „ტრის კეტურიოზე“

დღეს, ლიტვის სოფლებში სუბარტინები ადარ სრულდება. ამ ტრადიციას სხვადასხვა ქალაქური ფოლკლორული ჯგუფები ინარჩუნებენ.

1982 წელს დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენემ მიკალიოუს კონსტანტინას ჩიურლიონისის ხელოვნების სკოლაში ჩამოაყალიბა სუბარტინების შემსრულებელი პირველი ჯგუფი. მოგვიანებით ჯგუფის შემადგენლობა შეიცვალა. „ტრის კეტურიოზე“ („სამი ოთხში“) არის მისამდერის სიტყვები, რომლებიც იუმორით გადმოგვცემს ამ ჯგუფის ზოგჯერ ცვალებად და ზოგჯერ უცვლელ შემადგენლობას (სადაც ხან სამი, ხან ოთხი შემსრულებელია). ჯგუფს აქვს ტრადიციული რეპერტუარის შესრულების დიდი გამოცდილება, ის არ ახდენს 1935-1937 წლების საარქივო ჩანაწერების კოპირებას, არამედ ცდილობს, შეინარჩუნოს სუბარტინების აკ-თენტური ჟღერადობა.



დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე

შემსრულებლები ცდილობენ, ჩაწვდნენ ამ არქაული ტრადიციის ენას, გამოსცადონ დრმა სულიერი და ესთეტიკური გრძნობა და ეს ემოციები დღვეანდელ მსმენელამდე მიიტანონ. ისინი, ასევე, ცდილობენ მიუახლოვდნენ თანამედროვე ხელოვნებას და ითანამშრომლონ კომპოზიტორებთან (ალგიდას მარტინაიტისი, რიტის მაჟულა, ანტონ ლუკოვევიეზე, რემიგიუს მარკელისი და სხვ.) და მედია ხელოვანებთან (იურგიტა ტრეინიტე-იორუ). პროექტში „ლინო ლაიკას“ („სელის დრო“) სუბარტინები ორგანულადაა შერწყმული მედია ხელოვნებასთან.

სუბარტინების შესრულების ყველაზე საურველი ფორმაა ტრადიციული სიმღერა ინსტრუმენტული თანხლების გარეშე (სუბარტინების თანამედროვე ინტერპრეტაციაში ჩვეულებრივი მოვლენაა სხვადასხვაგვარი აკომპანემენტი – ფოლკ-როკი, ფოლკ-ჯაზი, და სხვ.). შეოლოდ ა კაპელა შესრულება იძლევა ერთმანეთის ხმის მოსმენის, რიტმული პულსაციების, მარცვლის წარმოთქმის, საერთო „სუნთქვისა“ და განსაკუთრებული პარმონიის შექმნის შესაძლებლობას.

„ტრის კეტურიოზე“ მონაწილეობდა ხალხური და თანამედროვე მუსიკის საერთაშორისო ფესტივალებში (ავსტრია, ბელგია, ესტონეთი, საქართველო, იაპონია, აშშ, ლატვია, პოლონეთი, ნიდერლანდები, რუსეთი, სერბეთი, გერმანია და სხვ.).

CD, DVD:

Sutartinės: polifoninės dainos. Lietuviai tradicinė muzika „სუბარტინები: პოლიფონიური სიმღერები. ლიტვური ტრადიციული მუსიკა“ (CD, 1998);

Lino laikas. წიგნის ავტორი დაივა გიჩინიენე, მე-
დია არტის ავტორი იურგიბა ტრეინიტე-იორე
(წიგნი და DVD, 2008);

Kadu buva, kadujo. სუტარტინების ნიმუშები. შემ-
დგენელი დაივა რაჩიუნაიტე-ვიზინიენე (წიგნი და
CD, 2012);

Kas tar taka (CD, 2012).

დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ლიტვის მეცნიერების აკადემიის ეთნომუზეო-
გოლოგიის კათედრის გამგე, დოცენტი

ქართული სიმღერის მოამაგვები

ივანე მარგიანი (1872-1933)



ივანე მარგიანი

ივანე მარგიანი ზემო სვანეთში, მუ-
ლახის თემის სოფელ მუჟალში მდვდლის
ოჯახში დაიბადა. სწავლობდა ჯერ ქუთა-
ისის გიმნაზიასა და სასულიერო სასწავლე-
ბელში, შემდეგ თბილისის სემინარიაში.

1898-99 წწ. იგი მღვდლად აკურთხეს, რის შემდეგაც აქტიურ სასულიერო მოღვა- წეობას ეწეოდა სვანეთის სხვადასხვა სო- ფელში, იმავდროულად ასწავლიდა სოფლის სამრევლო სკოლებშიც. მან ააგო 4 ახალი და განაახლა 9 ძველი ეკლესია; იყო საქარ- თველის სამოციქულო ეკლესიის 1917 და 1920 წწ. კრებების აქტიური მონაწილე.

სასულიერო მოღვაწეობის პარალე-
ლურად ივანე მარგიანი ხაყოფიერად თანა-

ქართულ ქურნალ-გაზეთების მის წერილებს პერიოდულად აქვეყნებდნენ გაზეთები: „ივერია“, „დროება“, „მოგზაური“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“, „მწევმისი“, „შინაური საქმეები“. ავტორის ნააზრებში სამი ძირითადი მიმართულება იკვლეობა: სვანეთსა და ლეჩესუმში მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის განმტკიცება; ზრუნვა მშობლიური კუთხის მოსახლეობის სოციალური პირობების, სამედიცინო მომსახურებისა და განათლების გაუმჯობესებაზე, გზების გაყვანაზე; ერთიანი ქართული ოვითშეგნებისათვის ბრძოლა, რაც სვანეთის სკოლებში ქართული ენის სწავლებაში, ტაძარში წირვა-ლოცვის ქართულად წარმართვაში, სვანურის ენის ფუძე-ქართულიდან მომდინარეობის მეცნიერულ დასაბუთებაში გამოიხატა.



ივანე მარგიანი მეუღლესთან ერთად

1903 წ. ივანე მარგიანის ავტორიტეტსა
და საზოგადოებრივ აქტიურობაზე მიუთი-
ოებს ის, რომ იგი მეგზურობას უწევდა პო-
ლიევქტოს კარბელაშვილს სვანეთის პელ-
ტურისა და ისტორიის შესასწავლად ორგა-
ნიზებულ ექსპედიციაში, ხოლო 1910 წ. ექვ-
თიმე თაყაიშვილის არქეოლოგიურ ექსპედი-
ციას ახლდა ლეჩეუმსა და სვანეთში.

ივანე მარგარიანის მრავალმხრივი საქ
მიანობის განსაკუთრებულობას მის სასული-
ერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვა-
წეობასთან, პუბლიცისტურ-ლიტერატურულ,
საისტორიო-ეთნოლოგიურ, ენათმეცნიერულ
ძიებებთან ერთად, ქართული ტრადიციული
მუსიკის შეკრებისა და პოპულარიზაციის
საქმეში შეგანილი ეფიდები წვლილიც გა-

ნსაზღვრავს. კერძოდ, 1928 წელს ივანე მარგიანმა სვანეთში ჩამოაყალიბა პირველი ფოლკლორული ანსამბლი, რომელიც ბევრი სვანური სიმღერისათვის ტიპური საფერხულო შესრულების წესის გამო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლად მოიხსენიებოდა. საბჭოთა პერიოდის თფიციალური პრესა და მედია ანსამბლის ხელმძღვანელად მურზაყან დადექელიანს ასახელებს, მაგრამ საოჯახო ფოტოები და სხვა დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ივანე მარგიანის დაპატიმრებამდე მურზაყან დადექელიანი გუნდის რიგითი წევრი იყო და ადმინისტრატორის ფუნქციასაც ასრულებდა. შემდგომში ამ კოლექტივს პლატონ დადგანი ჩაუდგა სათავეში და ივანე მარგიანის – პოლიტპატიმრის სახელის ხენება ადარავის უცდია. არადა, სწორედ ივანე მარგიანმა მოიძია, აღადგინა და დაკარგვას გადაარჩინა მრავალი სვანური სიმღერა, ცეკვა და საეკლესიო საგალობელი.

მარგიანს თავისი 18 კაციანი ანსამბლი თბილისში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც (ერევანი, მოსკოვი, ლენინგრადი) ჰყოლია გასტროლებზე. 1928 წლის გაზეთებში ეს გამოსვლები საქმაოდ ვრცლდა გაშუქებული. საზგანმითაა აღნიშნული სვანეთიდან პირველად ჩამოსული ანსამბლის რეპერტუარის არქაულობა, ჟანრული თავისებურებები (საგმირო თემატიკის პრიორიტეტი) საშემსრულებლო მანერის განსაკუთრებულობა, საკრავებზე (ჩანგსა და ჭუნირზე) დაკვრის თსტატობა. რუსი მუსიკის მცოდნების ყურადღება მიუქცევია „სვანური მუსიკის კოლორიტულ, ეკროპულისაგან განსხვავებულ ჰარმონიას, ზოგჯერ ყურისმოძრელ, დისონირებულ ბგერათშეთანხმებებს, სინქრონულ-პარალელურ სვლებს, დიატონურ კილოურ საფუძველს, მარტივ რიტმსა და დახვეწილ, სადა ფაქტურას“ (სერგეი ბოგუსლავსკი). ზოგიერთ სტატიაში საგანგებოდ არის განხილული სვანური ქორეოგრაფია. „საფერხულო მწყობრის უზადო სიზუსტე კირდებალებას კი დაამშვენებდაო“, – წერს ვინძე ვ. ივინგი. სხვათა შორის, ივანეს შვილიშვილს, თამაზ ლევაგას სვანეთში ყოფნისას ტყეში ერთი ადგილი აჩვენეს, სადაც ლოგბარი გუნდს ავარჯიშებდა. თანამედროვეთა გადმოცემით, ცალკეული მოძრაობების შეზღუდვა-დაფიქსირებისათვის, თურმე, თოკებიც კი ჰქონია გაბმული.

მოსკოვში ყოფნისას ანსამბლის რეპერტუარი ფირფიტაზე ჩაუწერიათ. ანზორ ერქომაიშვილმა ჯერჯერობით მხოლოდ 8 ნიმუშის მოძიება შეძლო.

აშკარაა, რომ ივანე მარგიანი დიდი ილიას სულიერი მემკვიდრე, მისი სამოქმედო დევიზის – „მამული, ენა, სარწმუნოება“ ჰეშმარიტი მიმდევარი და ცხოვრებაში რეალურად გამტარებელი ყოფილა. მისი მემკვიდრეობა დღესაც აქტუალურია, რადგან ანტიგლობალისტურ განწყობასაც ასახავს: „კარგი ის არის, როცა ხალხი ვარდივით შიგნიდან იფურჩქნება, იზრდება და არა გარედან იწვებებს ათასნაირ – მის ბუნებასთან შეუხამებელ ზნეჩვეულებებს“, – წერდა თავის ერთ-ერთ წერილში.

დღეისათვის ხენებს ხელთ არსებული მასალა ცხადყოფს, რომ გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ზემო სვანეთში რჩეული მომღერალ-მოცეკვავებისა და საკრავებზე დამკვრელების თავმოყრა, საკონცერტო პროგრამის მომზადება, გასტროლების ორგანიზება და ფართო საზოგადოებისათვის სვანური ხალხური შემოქმედების გაცნობა ივანე მარგიანის დამსახურებაა.

1931 წ. მთავრობასთან უთანხმოების გამო ივანე მარგიანი დააპატიმრეს. არც მისი ოჯახის წევრების რეპრესირებას მოერიდნენ. ამის შემდეგ მან მხოლოდ ორი წელი იცოცხება. ივანე მარგიანი 61 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.

ნინო კალანდაძე
მუსიკოლოგიის დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

**საქართველოს კულტურისა და
მუნიციპალიტეტის კურები**

**საქართველოს მუსიკის, კინოს,
თეატრისა და ქორეოგრაფიის
მუზეუმი**

საქართველოს მუსიკის, კინოს, თეატრისა და ქორეოგრაფიის მუზეუმი ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანესი სიძველეთსაცავია. მუზეუმი განთავსებულია დედაქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს შენობაში, რომელიც 1895 წელს აშენდა. შენობის ავტორია ცნობილი არქიტექტორი პაულ ფრიდრიხის ძე შტერნი. ხაგებობა ისლამური გოთიკის

საუკეთესო ნიმუშია. სამსართულიანი კოშკი, მაღალი ქონგურები, ლამაზად გაფორმებული კარნიზები, დია ტერასა და ციცაბოდ აზიდული სახურავი მას უჩემდელო, თბილისისათვის ნაკლებად დამახასიათებელ სილუებს აძლევს. ამ შენობის აგებას ერთი საინტერესო ლეგენდა ახლავს. გადმოცემის მოხედვით, იგი გერმანელმა პრინცმა, რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის ნათესავმა, კონსტანტინე ოლდენბურგელმა ქართველ ქალბატონს აგრაფინა ჯაფარიძე-დადიანს აუშენა. პრინცმა აგრაფინა 1882 წელს საქართველოში, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში გაიცნო. ქალი ამ დროისათვის სამეგრელოს თავადის ტარიელ დადიანის მეუღლე იყო.



საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის შენობა

ოლდენბურგი იმდენად მოიხიბლა ამ ქალბატონის მშვენიერებით, რომ მისი ოჯახური მდგომარეობა და XIX საუკუნეში საქართველოსა და ევროპაში დამკვიდრებული ტრადიციები არად ჩააგდო და აგრაფინას მეუღლეს ტარიელ დადიანს ცოლის სანაცვლოდ ფული შესთავაზა. მეგრელმა თავადმა აგრაფინა უცხოელისთვის გაიმეტა და მასთან განქორწინებას დასთანხმდა. ოლდენბურგელის მხურვალე გრძნობამ აგრაფინას ქმარიც დაავიწყა და მოვალეობაც. შევგარებულებმა ქუთაისი დატოვეს და საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდნენ. პრინცმა სატრფოს ახლადნაყიდ მიწაზე ულამაზესი სასახლე აუშენა.

მოგვიანებით სწორედ ამ სასახლეში განთავსდა საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი.

მუზეუმი 1927 წელს დაარსა დიდმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ დავით არსენიშვილმა (1905-1963). დღეს ის პროფილით ერთადერთია კავკასიაში, ხოლო კოლექციის სიმდიდრით – მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმების თანატოლი. აქ დაცული 300 ათას-

ზე მეტი ექსპონატი თითქმის ამომწურავინფორმაციას განვდის ქართული თეატრის, მუსიკის, კინოს, ცირკის, სალეური შემოქმედების შესახებ. მუზეუმში ინახება საინტერესო მასალები მსოფლიო კინოინდუსტრიისა და საცენო ხელოვნების სხვა დარგების შესახებ.

სამუზეუმო ექსპონატები ანტიკური პერიოდიდან იწყება. ეს გახლავთ ქალაქ ვანში (დასავლეთ საქართველო) არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ანტიკური ნიდაბი. მემორიალურ და ხელოვნების ნიმუშთა ფონდი 900-ზე მეტ უძვირფასეს ექსპონატს მოიცავს. აქ წარმოდგენილია ქართველ და უცხოელ ხელოვანთა პირადი რელიგიები. მნიშვნელოვანია ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული წარჩინების ნიშნების და თეატრალური, კინო და ქორეოგრაფიული კოსტუმების დიდი კოლექცია. აქ გამორჩეულია მომღერალ სანდრო ინაშვილის კოსტუმი, რომელთაგან ერთერთი მიღანში საგანგებოდ დამზადდა; ესაა ტორევადორის კოსტუმი სპექტაკლიდან „კარმენ“-ოლენიც თქროს ძაფებით მოქარებული ორნამენტების სიუხვით გამოირჩევა. ფონდში დაცულია მსოფლიო დონის ხელოვანთა ისეთი ნივთები, როგორებიცაა, მაგალითად, მაია პლისეცააის პუანტები მისივე ავტოგრაფით, (იგი მუზეუმს სერგო ფარაჯანოვმა უსახსოვრა), ასევე, ნინო ანანიაშვილის პუანტები ავტოგრაფით.

სახვითი ხელოვნების, ფერწერისა და გრაფიკის ფონდში დაცულია 300-ზე მეტი ქართველი მხატვრის 10 000-მდე ექსპონატი, რაც სრულად წარმოაჩნის ქართული თეატრის მხატვრობის ისტორიას. ფონდში დაცული კოლექცია შედგება თეატრალურ მოდგაწეთა ფერწერული პორტრეტების, დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზების, გრაფიკული კომპოზიციების, ირანული მინიატურების, ფრანგული და გერმანული გრავიურების, ფერადი ლითოგრაფიების ნიმუშებისგან. აღსანიშნავია, რომ ფონდში დაცულია XX საუკუნის დასაწყისში პეტერბურგში ჩამოყალიბებული „მირ ისკუსსტვოს“ გაერთიანებაში შემავალი მხატვრების, ე.წ. რუსული მხატვრობის „ვერცხლის საუკუნის“ წარმომადგენლების – კონსტანტინე კოროვინის, ლევ ბაქსტის, ალექსანდრე ბენუას, ალექსანდრე გოლოვინის და ვიქტორ სიმოვის ნამუშევრები.

ხელნაწერთა განყოფილება 160 ფონდისაგან შედგება და მოიცავს საქართველოში არსებული ყველა თეატრის შესახებ შემონახულ დოკუმენტებს, პროგრამებს, სხვადასხვა მოღვაწეთა პირად ხელნაწერებსა და

ჩანახატებს. აღნიშნული კოლექცია 1961 წლიდან გამუდმებით იქსება.

საკმაოდ მდიდარი და მრავალრიცხოვანია მუზეუმის ბიბლიოთეკისა და რარიტერულ გამოცემათა ფონდი. მასში დაცულია 32 000-მდე ექსპონატი. ფონდის ძირითადი ნაწილი შედგება წიგნებისაგან ქართულ და რუსულ ენებზე თეატრის, კინოს, მუსიკის, ქორეოგრაფიის, ხელოვნების, ისტორიის და რელიგიის შესახებ. დაცულია, ასევე, მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, პიესები. ფონდში ინახება სამასამდე სანოტო წიგნი, ასევე, სხვადასხვა დასახელების უურნალ-გაზეთები. უნიკალურ საგანძურო წარმოადგენს სასახლის მკვიდრთა წიგნადი კოლექცია, რომელიც დადიანებისა და ოლდენბურგების ბიბლიოთეკის ნაწილს წარმოადგენს. გამოცემები 1633-1639 წლებით თარიღდება.

ფოტო და ფოტონებატივების ფონდში 100 000-მდე ექსპონატია დაცული. ეს არის ქართული თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის ისტორიის ამსახველი მასალა XIX საუკუნის II ნახევრიდან დღემდე. უმდიდრეს ფოტომასალასთან ერთად ფონდში დაცულია უნიკალური მინის ხეგატივები, რომლებზეც აღბეჭდილია ქართული და უცხოური თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის განვითარების ისტორია. აქვე ინახება მსახიობთა და რეჟისორთა პირადი არქივები.

გრამფიორფიტების ფონდში თავმოყრილია მუზეუმის ერთ-ერთი უმდიდრესი კოლექცია: ფონდში დაცული 2503 ექსპონატი ასახავს საქართველოში აუდიომატარებლების განვითარების ისტორიას. უძველესი ფირფიტების გვერდით აქ ინახება ყველაზე ცნობილი ხმისჩამწერი სტუდიების Disco Pates, Concert Report-ისა და Gramaphone-ის მიერ ჩაწერილი ცვილის ლილვაკები, ფირფიტები, აუდიოკასეტები და თანამედროვე კომპაქტ-დისკები. ფონდი მოიცავს საოპერო, სათეატრო, კინო, რადიო და სატელევიზიო აუდიო და ვიდეო მასალას. დაცულია საოპერო ხელოვნების უბადლო შემსრულებელთა ფირფიტები, ასევე რადიოსპექტაკლების ჩანაწერები, საგალობლები, ცვილის ლილვაკებზე ჩაწერილი ექსპერიციის მასალები.

სააფიშო ფონდი მუზეუმის დაარსებისთანავე შეიქმნა და მასში 70 000-ზე მეტი ექსპონატია დაცული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი პერიოდის საოპერო თეატრის ფონდი, რომელიც 1871 წლიდან დღემდე პერიოდს მოიცავს. ამ ფონდში დაცული აფიშები განსაკუთრებულ დირექტულებას წა-

რმოადგენს, რადგან 1973 წელს ხანძრის შედეგად ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმი მოლიანად განადგურდა და საცავებში დაცული აფიშების დიდი ხაწილი ჩვენამდე შემონახული ერთადერთი ეგზემპლარებია.

(მუზეუმის ვებ-გვერდია: www.artpalace.ge)

ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები ტრიო „ჯამათა“ საფრანგეთიდან

ტრიო „ჯამათა“ შეიქმნა 2011 წელს ბრეტანში (ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთი). ჯგუფის ორი წევრი უკვე დიდი ხანია მდგრის ქართულ სიმღერებს. ტრიოს უყვარს პატარა აუდიტორიის წინაშე გამოსვლა, ვინაიდან ამ დროს მსმენელი უკეთ შეიგრძნობს ქართული მრავალხმიანი სიმღერების შესრულებისას წარმოქმნილ უწვეულო ვიბრაციას. ისინი ასევე მდერიან სუფრებზე და გამუდმებით მოწუწუნე ფრანგებს აცნობენ ქართველების დადებით დამოკიდებულებას სადღეგრძელოების მიმართ...



ტრიო „ჯამათა“

ლორან შტეფანი, მსახიობი, მომღერალი, სიმღერისა და თეატრალური პედაგოგი, ქართულ პოლიტონიის 1996 წლიდან მდერის. ამ დროის განმავლობაში ლორანი 12-ჯერ იყო საქართველოში, და ქართულ კულტურას, ენასა და ხალხურ სიმღერებს სწავლობდა ქართველი ლოტბარების დახმარებით. მისი პედაგოგები იყვნენ ედიშერ გარაფანიქ, ვაჟა გოგოლაძე, ოთარ ბერძენიშვილი, პოლიკარპე ხუბულავა, ნატო ზუმ-

ბაძე, მალხაზ ერქვანიძე, ისლამ და ნათელა
ფილფანები, ტრისტან და გური სიხარუ-
ლიძეები, ლევან აბაშიძე, ზაზა თამარაშ-
ვილი, ბესიკ ჭითანავა...

1996 წლიდან ლორანი ანსამბლ „მარანის“ წევრია, რომელიც ხშირად იწვევს ქართველ მომღერლებს საფრანგეთში. ამჟამად ანსამბლს ტარიელ ვაჩაძე ხელმძღვანელობს. ლორანს ჩაწერილი აქვს 1 კომპაქტური დისკი ანსამბლ „მარანთან“ ერთად და 2 დისკი ანსამბლ „მზე შინასოან“ ერთად. ეს ჯგუფი 1997 წელს მან თვითონ დაარსა და 2009 წლამდე მის შემადგენლობაში მართავდა კონცერტებსა და მასტერ-კლასებს საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. 2004 წელს „მზე შინამ“ მონაწილეობა მიიღო ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის საკონცერტო პროგრამაში, ხოლო ლორანმა სიმპოზიუმზე წარმოადგინა მოხსენება „რატომ მღერიან უცხოელები ქართულ სიმღერებს?“

ევლაინ ლოშუ მომდერალი და პედა-
გოგია. მას უყვარს ენების შესწავლა და
მოგზაურობს, რათა შეისწავლოს მსოფლიოს
ტრადიციული სიმდერები. 20 წლის ასაკში
ის მოიხიბლა იდუმალი და თითქმის მუნ-
ჯური ქართული ფილმით და კიდევ უფრო
მეტად – უნიკალური ქართული ანბანით,
რომელსაც ეკრანზე უურებდა; 2003 წელს
ანსამბლ „მზე შინას“ მიერ მოწყობილ მას-
ტერ-კლასებზე კი დაინტერესდა ქართული
მრავალებმიანი სიმდერებით. ამ ანსამბლის-
გან მან ბევრი ისწავლდა. მისი პედაგოგები
ასევე იყვნენ: ნატო ზუმბაძე, თამარ ბუაძე,
ანსამბლი „ნანინა“, ანსამბლი „პანკისი“.
2008 წელს ეველაინმა შექმნა ქალთა ტრიო
„იზვანი“ რომელიც ასრულებდა ბალკანურ
და კავკასიურ ტრადიციულ მუსიკას. 2010
წლიდან ის ლორანთან ერთად ატარებს
მასტერ-კლასებს ქართულ სიმდერაში, ბევრს
მოგზაურობს და მუდამ ცდილობს აღმოა-
ჩინოს ახალი ხალხი და ახალი საუნჯე. ქვე-
უნებს შორის მანძილისა და სიახლოვის
შეგრძნების მიზნით მან 2010 წლის მაისში
ავტო სტრაპით იმოგზაურა და ერთ თვის შე-
მდეგ საქართველო-თურქეთის საზღვარზე
შეხვდა ლორანს. ის უკვე სამჯერ სტუმრო-
ბდა საქართველოს, და ყოველი მისი სტუმ-
რობა ახალი თავადადასავალი იყო.



ტრიო „ჯამათა“ VI სიმპოზიუმზე

ესტელ ბოგრაძი თვითნასწავლი
მომდევრალია, მრავალრიცხოვანმა მასტერ-
კლასებმა და მოგზაურობამ გააღვივა მისი
ინტერესი, შეხვედროდა ბეგრ ცხობილ ადა-
მიანს.

ესტელი 2008 წლიდან სცენაზეა. თავ-
დაპირველად ტრიო „იზვანის“ შემადგენლო-
ბაში და 2010 წლიდან როგორც კვარტეტი
„ილდიზის“ (თურქული და ბალკანური მუ-
სიკა) სოლისტი. მან ქართული სიმღერები
გაიცნო 2003 წელს „მზე შინას“ მასტერ-
კლასების დროს. ესტელს ამ სიმღერების
მოსმენაზე მეტად მათი შესრულება უყვარს.

2012 წელს ის პირველად სტუმობდა საქართველოს თბილისის 6 საერთაშორისო სიმბოზიუმში მონაწილეობის მიზნით.


2012 წელს ტრიო „ჯამათა“ დიდი
წარმატებით გამოვიდა თბილისში,
ტრადიციული მრავალხმიანობის
VI საერთაშორისო სიმპოზიუმზე.
კუსურებით მას შემდგომ წარმატებებს!

გიორგი გარაფანიძის სახელობის
ფოლკლორული და
სახულიერო მუსიკის ბათუმის VIII
საერთაშორისო ფესტივალი
და სამეცნიერო კონფერენცია

29, 30 და 31 ოქტომბერს ქალაქ ბათუმის მერიამ და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტიმა უპვე მერვედ უმასპინძლეს ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს (ორგანიზატორები: ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის პროფესორული – ხათუნა მანაგაძე და ქათოვან გოგოლაძე, ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის

ლი – ეთნომუსიკოლოგიის მაგისტრი – ლოლიტა სურმანიძე და მერიის წარმომადგენელი თამაზ ნიკოლევიშვილი). თავდაპირველად ფესტივალი მცირე მასშტაბებით დაიწყო, თანდათან პოპულარული გახდა და მასში მონაწილეობის მსურველთა წრე სულ უფრო ფართოვდება.

ფესტივალის მიზანია ხალხური და სასულიერო მუსიკის ახალგაზრდა შემსრულებელთა საზოგადოებისთვის წარდგენა და გაცნობა, სწორედ ამიტომაც ფესტივალს აქვს უკვე თავისი პრინციპი: მასში ერთხელ მონაწილე ანსამბლი მეორედ აღარ მონაწილეობს. 2012 წელს ბათუმის ფესტივალს უდროოდ წასული ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგის, გიორგი გარაფანიძის სახელი მიენიჭა. ამიტომაც მას შარშანაც და წელსაც ანსამბლი „მთიები“ და საყმაწვილო სტუდია „ამერ-იმერი“ სტუმრობდა (ამ ორივე ანსამბლის ხელმძღვანელი გიგი გარაფანიძე იყო).



ფესტივალის საკონცერტო პროგრამა

ბათუმის საერთაშორისო ფორუმი სამეცნიერო კონსერვატორიას, ფოლკლორულ კონცერტებსა და კინოჩვენებას მოიცავს.

სამეცნიერო კონფერენცია მოხსენებათა მრავალმხრივი, შეუზღუდავი და მრავლისმომცველი თემატიკით გამოირჩევა. კონფერენცია გაიხსნა გიორგი გარაფანიძის მეტად საინტერესო მოხსენებით „მთვარის კულტმსახურების ცოცხალი ნაშთი და წარმართული ლეთაების ნიშან-სიმბოლო“, რომელიც ავტორის ბაგშვილის მეგობარმა და სტუდია „ამერ-იმერის“ აღზრდილმა, ახლა შევე ანსამბლ „მთიების“ წევრმა, ჯოკია გუგავამ წაიკითხა.



სამეცნიერო სესია

„მთიების“ ახლანდელ თაობას კეთილშობილური სურვილი ამოძრავებს – საზოგადოებას გააცნოს მათი უდროოდ და კარგული მეგობრის – გიგი გარაფანიძის მეტად სერიოზული სამეცნიერო მემკვიდრეობა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ბათუმის კონფერენციის ძველი მეგობრები – ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორები, ეთნომუსიკოლოგები – ნინო კალანდაძე-მახარაძე და თამაზ გაბისონია; თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, კომპოზიტორი ეკა ჭაბაშვილი; ხელოვნებათმცოდნების დოქტორი, თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორი – თინათინ ჭაბუკიანი, ილიას უნივერსიტეტის დოქტორი სოფო კოტრიკაძე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი შორენა მეტრეველი, კონსერვატორიის მრავალმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტი, ეთნომუსიკოლოგი ქათევან ბაიაშვილი. ასევე, ორი მომსესხებელი თურქეთიდან: ქალაქ ბათმანის უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის კათედრის გამგე, ხელოვნებათმცოდნების კანდიდატი, კომპოზიტორი როპად ჯებე და ამავე უნივერსიტეტის დეკანის მოადგილე, ასევე ბაქოს მუსიკალური აკადემიის დოცენტი, ხელოვნებათმცოდნების კანდიდატი სეირან გაფარზადე, ლიტვის ლიტერატურისა და ფოლკლორის ინსტიტუტის თანამშრომელი რუბა ჟასკენე, უკრაინის ლისენკოს სახელობის მუსიკალური აკადემიის ასპირანტი ტატიანა ტესლია.

თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიაში სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს დოკუმენტური, სამეცნიერო, ეთნოგრაფიული ფილმები, ამიტომაც ბათუმის ფესტივალების მიმდინარეობაში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა მათი ჩვენება, რაც მოხსენებების დასასრულს ეწყობოდა. გასულ ფესტივალზე ნაჩვენები იყო ფილმები: სოხო სტურუას „მექევრენი“, გივი ნახუცრიშვილის „ნიხაძიორის ხეობის იალაღებზე“, გიორგი კაკაბაძის

„წმიდა ანტონის მონასტერი“ და მისივე „აბალმოწამენი“.

29 ოქტომბერს, მოექუო მაია გელაშვილის საბაგშვი წიგნის „მხიარული და ბრაზიანი ბატონების“ პრეზენტაცია. ეს წიგნი ბავშვთა ინფექციური დაავადებების სიმღერით განკურნების ტრადიციებზე, რომელსაც ანსამბლ „ნანინას“ მიერ შესრულებული სხვადასხვა კუთხის სამკურნალო იავნანების კომპაქტ დისკი მოჰყვება და შესანიშნავი საჩუქარია პატარებისთვისაც და ახალგაზრდა დედებისთვისაც.

რაც შეეხბა საფესტივალო კონცერტებს, პროგრამა მრავალფეროვანი იყო. ერთმანეთს ცვლიდნენ ადგილობრივი, აჭარული და საქართველოს სხვა კუთხეთა ანსამბლები, ლიტველთა, ინგლისელთა, უკრაინელთა ქართული და ეთნიკური ფოლკლორის შემსრულებელი ჯგუფები. აშკარად იგრძნობოდა ავთენტური შემსრულებლობის უპირატესობა და ტრადიციული ეთნიკური კულტურებისადმი თანამედროვე შემსრულებლობის ჯანსაღი, მეცნიერულად გააზრებული დამოკიდებულება. განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი და ავთენტური ანსამბლი „დიუტა“ იყო.



ანსამბლი „დიუტა“

ჩვენთვის, ქართველი ეთნომუსიკოლოგებისთვის, კარგა ხანია ცნობილია კოლეგისა და ახლა უკვე საქეუნოდ სახელგანთქმული შემსრულებელ-მკვლევრის, დაივარახიუნაიტე-გიჩინიენეს შემოქმედება და ლვანდილი ლიტვერ ხალხურ მუსიკალურ ტრადიციაში სუბარტინების (სეკუნდებით მდერის) შესწავლა-ადგენის საქმეში. რუბა უასკენე კი ახლა გავიცანით, მან არახეულებრივად კომპაქტურად მოახერხა მაყურებლისათვის ლიტვერი ხალხური მუსიკის საქრავიერი, სასიმღერო, საცეკვაო და საფერხულო, ასევე სხვადასხვა უანრისა და ლიტვის სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი ნიმუშები ეჩვენებინა. მათი ავთენტური შესრულების მანერა და კოსტუმებიც სამაგალითო იყო.

დიდი ბრიტანეთიდან ფესტივალს ორი ანსამბლი სტუმრობდა: „თაბუნი“ და „მასპინძელი“. ეს ანსამბლები ქართველი მსმენელებისთვის უკვე კარგად ნაცნობი და ახლობელია. ამიტომაც მათ გამოჩენას მაყურებელი ოვაციით შეხვდა.



ანსამბლი „თაბუნი“

ძალიან სასისარულოა, რომ იყვნენ ანსამბლები ადგილობრივი (აჭარული) და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მაგალითად, ამ ფესტივალზე შედგა ანსამბლ „ბოლნელას“ დებიუტი. ეს გახლავთ ქალთა ანსამბლი ბოლნისიდან. მათ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი და მისი თანამშრომელი, გამოცდილი პედაგოგი და ეთნომუსიკოლოგი ნანა ვალიშვილი ხელმძღვანელობს. ასევე ახალგედა იყო ილიას უნივერსიტეტის სტუდენტთა ანსამბლი (ხელმძღვანელი თამაზ გაბისონია). მიუხედავად არსებობის მცირე ხნისა, მათ საქმაოდ დიდი და რთული რეპერტუარი აქვთ ათვისებული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ანსამბლის წევრები სახვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები არიან.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ზუგდიდის „ოდოია“ პოლიკარპე ხუბულავას ხელმძღვანელობით. ბატონი პოლიკარპე ხუბულავა ქართული სიმღერის ნამდვილი რაინდია, იგი 50 წელზე მეტია, რაც ამ საქმეს ემსახურება მუხლჩაუხერელად. მსმენელი მოხიბლა მისმა ენერგიულმა და შემართებულმა გამოსვლამ. ამჟამად იგი 90 წელსაა მიტანებული და კვლავ ახალგაზრდული შემართებით აგრძელებს მოღვაწეობას.

ანსამბლი „ოდოია“

ჩამოსული სტუმრებისთვის ნამდვილი აღმოჩენა ბათუმის თამარ მეფის ტაძრის მგალობელთა გუნდი იყო. მათ გასაოცარი ოსტატობით შეასრულეს როგორც საგა-

ლობლები, ასევე ხალხური სიმღერები. ქადის რაიონის ქალთა ანსამბლი „იაგუნდი“ აჭარული სიმღერების კარგი შესრულებითა და ადგილობრივი რეპერტუარით გამოირჩეოდა. ძალიან კარგად დაამასხსოვრდა მსმენელს წინა ფესტივალებიდან ანსამბლი „აიდიო“ ლოლიტა სურმანიძის ხელმძღვანელობით. ბათუმური ვაჟთა ანსამბლი „ფეროცვალებაც“ ლირსეულად წარსდგა ფესტივალზე. ძალიან დასაფასხებელია ამ ბიჭების ხრორი საშემსრულებლო ორიენტაცია და მაღალი საშემსრულებლო დონე.



და ბოლოს, ფესტივალი გახსნა და დახურა ანსამბლმა „მთიებმა“. სამწუხაროდ, ვერავინ შენატრებს ამ ანსამბლს ბედით. რამდენადაც ეს გოგო-ბიჭები ბედს უმაღლიან ისეთ დიდ პედაგოგებთან მრავალწლიანი ურთიერთობის გამო, როგორიც ედიშერ და ნინო გარაფანიძეები იყვნენ, იმდენად ტრაგიულია მათი ბოლო წლების გამოცდილება. მაგრამ დიდი მნიშვნელობა სწორედ მათ ბავშვობის წლებში მიღებულ სულიერ და გნებავთ, ფიზიკურ წრთობას აქვს, მათ კვლავ იძოვეს ძალა – ედიშერის, მარიას, ნინოს, გიგის შემდეგ მათი ნაანდერძევი გზა გაერძელებინათ. ისინი კვლავ დადგნენ სცენაზე და ითამაშეს გიგისეული ეთნომუსიკის თეატრი, ამჯერად უიმისოდ, გიგისათვის.



ანსამბლი „მთიები“

დარბაზში ჯერ მოწიწების გრძნობაში დაისადგურა, შესრულებას ცრემლიც ახლდა, მაგრამ ახლდა სიხარულიც, იმიტომ, რომ კვლავ გაცოცხლდა ხალხური სიმღერის იშვიათი და მივიწყებული ვარიანტები. ისე, როგორც მათ – ამ ანსამბლის დამაარსებლებს გაუხარდებოდათ. აქ გამოჩნდა ხალხური სიმღერის კიდევ ერთი, მივიწყებული ფუნქცია – ეს კათარსისი იყო. ალბათ ამ ფესტივალის დანიშნულებაც ეს იყო. მაღლობა მის ორგანიზატორებს, მომავალ შეხვედრამდე.


**ქეთევან ბაიაშვილი,
ეთნომუსიკოლოგი,
ტბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
დოქტორანტი**

ძეგლი პრესის ფურცლებზე ღვინო და ქართული სუფრულები

უძველესი ისტორიული წყაროები ქართველური მოდგმის ტომებს მიწათმოქმედებად, მევენახეებად და მეტალურგებად მოიხსენიებს. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ ვაზის კულტურის თავდაპირველი სამშობლო ამიერკავკასია. აღნიშნული პრობლემის განხილვისას ივანე ჯავახიშვილი გამუტქვამდა მოსაზრებას, რომ „მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგანად უცილობლად საქართველოც უნდა იყოს მიჩნეული“. აღსანიშნავია, რომ არაქართული წარმომავლობის უძველეს ლეგენდებშიც კი კულტურული ვაზის სამშობლოდ ამიერკავკასია და მისი მიმდებარე ქვეყნები მოიაზრება, რაც კიდევ უფრო გვიმტკიცებს აზრს ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის შორეული წარმომავლობისა და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების შესახებ.

ვაზის კულტურა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში და წმინდა სასმელთან ერთად თაყვანისცემის საგნად იყო ქცეული. ქართველი და ვაზი განუყოფელ ცნებებად აღიქმებოდა უცხოტომელთა მიერ. ამიტომ იყო, რომ ყოველივე ქართულის ამოშანთვას დამპყრობლები ვაზის აჩეხვით იწყებდნენ. ალბათ, ისიც ნიშანდობლივია, რომ ქართველთა განმანათლებელმა წმინდა ნინომ მთავარი ქრისტიანული სიმბოლო – ჯვარი, სწორედ ვაზის ხისაგან გააკეთა.

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც კულტურული ვაზის მრავალრიცხვობის და სანაქებო ჯიშია გამოყვანილი, სადაც ხალხის მესიერებამ ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების უძველესი წესები შემოგვინახა. არა არსებობს ქართველი კაცის ყოფისა თუ სამეურნეო საქმიანობის რომელიმე სფერო, რომელთანაც სიმღერა არ იყოს დაკავშირებული. გამონაკლისი არც მევნახეობა და მეღვინეობაა. სამწუხაროდ, ახლა ვერსად ნახავთ ვენახის ბარგის, გასხვლის, საწახლის გამზადების, ყურძნის კრეფისა და წურვის დროს შესასრულებელ რიტუალებს, ვეღარ მოისმენო ამ რიტუალებთან დაკავშირებულ სიმღერებს. ამ მხრივ არც ძევლი სანოტო და აუდიო ჩანაწერებითა და წერილობითი წაყროებით ვართ მდიდრები. არცოუ ისე შორეულ წარსულში ჯერ კიდევ შეიძლებოდა ქართული წარმართული პანთეონის ერთერთი წევრის, მევნახეობა-მეღვინეობის მფარველი ღვთაების – აგუნას ციკლის სიმღერების დაფიქსირება.



კუკური ჭოხონელიძე

საბედნიეროდ, ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში ჭარბადაა შემორჩენილი სუფრული სიმღერები, რომელთა წარმოშობაც უშეალოდ მეღვინეობის განვითარებას უკავშირდება. საინტერესოა, რომ ვაზის კულტურა აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული, მაგრამ მუსულმანური რელიგიის კანონებით, ღვინო აკრძალული სასმელია და, შესაბამისად, მათ არც სუფრული სიმღერები აქვთ.

ქართველი ხალხის მუსიკალურმა გვიამ მრავალი სასიმღერო შედევრი შექმნა

და მათი დიდი ნაწილი სწორედ სუფრულების ჟანრს განეკუთვნება. მათში, როგორც სარკეში, ასახვა პპოვა ქართველი კაცის ხასიათის თითქმის ყველა ნიშანდობლივმა მხარემ: პურადობამ, ვაზისა და ღვინისადმი ტრფიალმა, სილადემ და სისპეტაკემ, რაინდულმა სულმა და თუნდაც მუდამ თანბდევმა ნაღველმა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართული სუფრულების ნამდვილი გვორგვინი, უბადლო „ჩაკრულო“ სიცოცხლის ზეობისა და უკვდავების პიმნია!..

ხშირად იბადება კითხვა – როდის შეიქმნა მხატვრულად დახვეწილი და ღრმა მუსიკალური შინაარსის მქონე ისეთი ნიმუშები, როგორიც ქართული მრავალუამიერები და ჩაკრულოა? ცხადია, მუსიკალურმხატვრული აზროვნების ის დონე, რომლითაც ეს სიმღერები ხასიათდება, განვიტარების დიდ ისტორიულ გზაზე მეტყველებს. ჩვენი ვარაუდით, რაც მუსიკალური ანალიზებითაც მტკიცდება, ჩაკრულოსა და მრავალუამიერის მსგავსი სიმღერები მათი გამომსახველობის, ფორმისა და შინაარსის ძირითადი ელემენტები თუ უფრო აღრე არა, იმ ეპოქას მაინც უნდა უკავშირდებოდეს, რომელსაც ბეჭა და ბეშქენ ოპიზრების დიდებული ოქრომჭედლობა და ქართული ტიხრული მინანქარი იქმნებოდა, როცა იგპბოდა ოშკი, ხახული, ალავერდი და სვეტიცხოველი, ქართული სასიმღერო მელიზმების მსგავსად იკვეთებოდა ნიკორწმინდის განუმეორებელი ორნამენტები, როდესაც იწერებოდა დიდებული ქართული პიმნოგრაფიული ქმნილებები, შავთელისა და ჩახრულების ღდები, რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“; მრავალუამიერებიცა და ჩაკრულოც ამ ეპოქის წილიდანაა ამოზრდილი. სწორედ ასეთი სიმღერები აღიქვა ცნობილმა რუსმა კომპოზიტორმა და თეორეტიკოსმა ბორის ასაფიერმა „ქართველი ხალხის მუსიკალური გენის წინაშე ქედმოხრის შთამაგონებელ მოვლენად“, ქართულმა სასიმღერო შედევრებმა ათქმევინეს ცნობილ ამერიკელ ეთნომუსიკოლოგს ალან ლომაკს: „საქართველო მსოფლიო ხალხური მუსიკის სატახტო ქვეყანაა“.

კუკური ჭოხონელიძე
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
22.03.2003

ერთი უანრის შესახებ სუფრული სიმღერები

ქართული სუფრის ფენომენი შორეულ წარსულში იდებს სათავეს და მას მნიშვნელოვანწილად მევენახეობა-მეღლინეობის მაღალი კულტურა განაპირობებს.

ქართული ლხინის ორგანული ნაწილია სიმღერა. მუსიკოლოგი შალვა ახლანიშვილი სუფრული სიმღერების წარმოშობას წინაპრისტიანულ ხანაში ვარაუდობს და მათ აგრარული დვოაებისამი აღვლენილ ჰიმნებად მიიჩნევს. შემთხვევითი არაა, რომ სუფრული სიმღერის მაღალმხატვრული ნიმუშები სწორედ იმ რეგიონებში გვხვდება, სადაც ვაზისა და ღვინის კულტურა განსაკუთრებით იყო დაწინაურებული.

ქართულ სუფრასთან წარმოქმულ თითოეულ სადღეგრძელოს თავისი შესატყვისი სიმღერა ან საგალობელი მოსდევდა. უშუალოდ სუფრულების (მრავალუამიერი, დალიქ, მასპინძელსა და ა. შ.) გარდა, აქ ამბობდნენ ე. წ. სუფრულის ტიპის სიმღერებს („ბერიკაცი გარ“, „ჩაკრულო“, „შემოძილი“, „დიამბეჯო“, „ტურფანი სხედან“, „შაშიო-კაკაბი“ და სხვ) აღსანიშნავია, რომ სუფრამ შემოინახა და დავიწყებას გადაარჩინა ყოფაში დაპარგული ბევრი უანრი.

საქართველოს თითოეული კუთხის სუფრული სიმღერა ზოგადქართულ მუსიკალურ კანონზომიერებებს ემყარება, მაგრამ ლოკალური თავისებურებებითაც ხასიათდება. ეთნოგრაფიული მასალა შედარებით მრავლად გურიაშია მოპოვებული. სალხინო სუფრასთან აქ სხვადასხვაგვარი თანმიმდევრობით იტყოდნენ სიმღერებსა და საგალობლებს: ლხინის დასაწყისში – „მოვედით და ვხვათ ხასუმელი ახალი“, თამადის არჩევამდე – „მასპინძელსა მხიარულსა“, შემდეგ – „მადლობელი“, „მრავალუამიერი“, „ჩვენ მშიოდობა“, „სუფრის (სტოლის) ხელხვავი“, „წამოკრული მრავალუამიერი“, ამის შემდგომ კი – ნებისმიერი სიმღერა. „ადილა და ალიფაშა“ მაშინ ითქმებოდა, როცა სუფრა აიშლებოდა ხოლმე.

სხვაგვარი იყო საქორწილო ნადიმის სიმღერათა თანმიმდევრობა: ქალის ოჯახში სუფრა საგალობლებით იწყებოდა. პატარძლის წამოყვანისას იტყოდნენ „მაყრულს“. ვაჟის ოჯახშიც სუფრა „მაყრულით“ იწყებოდა. მას მოსდევდა „მასპინძელსა მხიარულსა“. თამადის არჩევას „მრავალუამიერით“ პასუხობდნენ. მეფე-დედოფლის სადღეგრძლოს მოყვებოდა „შენ ხარ ვენახი“, „სადღეგრძელო“, ან „მრავალუამიერი“. მშობლების სადღეგრძლოს – საგალობელი. გარდაცვ-

ლილი მშობლებისთვის „უამთა და წელთას“ ასრულებდნენ. ხელისმომედებების სადღეგრძელოს – საგალობელი „შენ რომელმან განახათლე“ და სიმღერა „ჩემო ნათლიდედაო“, მომდევნო სადღეგრძლების შემდეგ შერჩევით სრულდებოდა ორპირული და კრიმანქულიანი სიმღერები: „ხასანბეგურა“, „შვიდგაცა“, „სუფრის ხელხვავი“, „კალოს ხელხვავი“, „ალიფაშა“, „გახტანგური“.

განსხვავებული იყო ახალსახლობის აღსანიშნავი ლხინი. სუფრასთან დასხვომისთანავე და პირველ სადღეგრძლებოდე ჟღერდა საგალობლები: „ხახლი ეხე დაბაბუკიდრე უფალო“, „მოვედით და ვხუათ“, „დღეს საღვთომან მადლობა შეგვერიბა ჩუებე“. შემდეგ – „მასპინძელსა მხიარულსა“. თამადის არჩევას მოჰყვებოდა „მრავალუამიერის“ რომელიმე ვარიანტი (მოკლე, გრძელი, წამოკრული).

სევში სუფრულ სიმღერას „სმური“ ჰქვია. ის სრულდებოდა ქორწილშიც და გლოვის სუფრაზეც. მის წინ კი აუცილებელი იყო საკულტო „დიდების“ ოქმა.

ქართლში არ ვხვდებით გრძელი კახური მრავალუამიერისა და ჩაკრულოს ტიპის სუფრულებს. აქაური სუფრულებია: „დავლით ღვინო“, „ბერიკაცი“, „ჩვენი მასპინძელის ხასახლე“, „გაკრული მრავალუამიერი“, „პაიდა“, „მრავალუამიერი“ და სხვ., რომლებიც ბურდონულ ბანზე რეჩიტატიული და კანტილენური მღერის მონაცვლეობას ეფუძნება.

კახეთში ქორწილის სუფრის თანმიმდევრობა განსხვავებული იყო ქალისა და ვაჟის ოჯახებში. პატარძლის წამოყვანისას აუცილებელი იყო „მაყრული“. მეფის ოჯახში შესვლისას ფერხული – „მუმლი და მუხასაო“, სახლში შესვლამდე – „ჯვარი წინ და ჯვარი უკან“, შემდეგ – „მრავალუამიერი“, „თამარ ქალი“, „სუფრული“, „ბერიკაცი გარ“, „ვაი, შენ ჩემო თეთრო ბატო“, „დიამბეჯო“, „შაშიო-კაკაბი“.

კახური სუფრულები თავისი ურთულესი აგებულებით, მონუმენტურობით, დიდაქტიკურ-ფილოსოფიური შინაარსით, ამაღლებული, პიმნური პათოსით ბურდონული მრავალხმიანობის მწვერვალს წარმოადგენს. მათი მელოდიის მდიდარი ორნამენტიკა, ფართე სუნთქვაზე აგებული შიდამარცვლოვანი გამდერებანი, ემოციური ზეაწეულობიდან მომდინარე აღმავალი მოდულაციები კაცობრიობის ხალხური მუსიკალური აზროვნების უდიდესი მონაპოვარია.

განსხვავებული გახლდათ მესხური ქორწილი. აქ მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ დიფერენცირებული იყო „სუფრის

გახსნის“ (რელიგიურ-ისტორიული შინაარსის ტექსტებით), „ლხინში შესვლის“ (საგმირო შინაარსის ტექსტებით) და „სუფრის დახურვის“ შემოძახილი სიმღერები. საინტერესოა სუფრულების სამპირულად შესრულების ტრადიცია, სადაც მიმღევრობით მდეროდნენ ხანდაზმულები, შეა ხნის ადამიანები და ახალგაზრდები.

მესხური სუფრულებია: „სახლო, ღმერთი აგაშენოს“, „სუფრა ვარდითა სავსე გვაძ“, „გეგუთისა მინდორზედა“, „წახვლა ხჯობს წარმავალისა“. მესხური სუფრულების ტექსტები ძირითადად ეპიკური შინაარსისაა. მხატვრული თვალსაზრისით საკმაოდ მაღალგანვითარებულია, რასაც ვერ ვიტყვით მელოდიაზე, რომელიც ერთსტრიქონიანი ფრაზების ჯაჭვს წარმოქმნის.

სვანეთში საქორწილო სუფრაზე დიდი ღმერთისადმი მიმართვის სადღეგრძელოს მოსდევდა სიმღერა-საგალობელი „ხოშალერბე“ (დიდი ღმერთი). შემდეგ ოჯახის შეწევნას შესთხოვდნენ წმინდა მთავარანგელოზებს და მღეროდნენ „თარიზზელარს“. მესამე სადღეგრძელო წმინდა გორგის ეძღვნებოდა და მას მამაკაცების გამრავლებასა და ჯანმრთელობას ევერუბოდნენ. ამას უკავშირდებოდა საგალობელიც „ჯვრაგ“: მხოლოდ ყველა გარდაცვლილის შესანდობარისა და მშვიდობის სადღეგრძელოს შესმის შემდეგ ითქმებოდა სიქარარძლის სადღეგრძელო, რომელსაც მოპყვებოდა საქორწილო სიმღერა-საგალობელი „ხადამ“.

ქარებისაგან დაცული რაჭის ხეობები ვაზის კულტურის განვითარების ერთ-ერთი უძველესი კერაა. რაჭული დიალექტის ყველაზე განვითარებულ ნიმუშებად სწორედ სუფრულ სიმღერებს მიიჩნევთ („ახლანური მრავალუმიერი“, „დალიე“). ისინი, გარკვეული თვალსაზრისით (ბურღონის როლით), ქართლ-კახურ სუფრულებს ჰგავს, მაგრამ აკორდული წყობით, საკადანსო ფორმებით დასავლურქართულ (გურულ-იმერულ) ნიმუშებსაც უახლოვდება.

ვაზის ჯიშებით (ოჯაღეში, ცოლიკური) მდიდარი იყო ლექსუმიც. აქ შემორჩენილი სუფრულები: „დალიე“, „სმა უძღერალი არ ვარგა“, „დილით ოქრო ხარ სტუმარ“, „სალინო“ – მართალია მასშრაბებითა და იმპროვიზაციული განვითარებით ჩამოუვარდებიან სხვა კუთხეთა ანალოგიურ ნიმუშებს, მაგრამ ქართული მუსიკალური ფოლკლორის მეტად საინტერესო პლასტექნიან.

ორიგინალურია იმერული ლხინი, სადაც ტრადიციული სუფრულების გვერდით

XIX საუკუნის II ნახევრიდან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა გიტარამ და მასზე დამღერებულმა ქალაქური ტიპის სიმღერამ. ცნობილია ქუთაისური მრავალუმიერები.

სამეგრელოში გავრცელებული სუფრულებია: „გეშვია“ (დალიე), „გევშაო ლგინი ხარათია“ (დავლიოთ ლგინო ხაფითა), „ოლური კულარე“, „აბარერო“, „მადლობელი“, „ოდელიო“, „ზესქვი“ (შაშვი), „დადიანის მოძახილი“.

აჭარაში შემორჩენილია „ძველი სუფრული“, „კვრიდა მასინძელსა“, რომელიც სშირად საცეკვაოში გადადის.

ამგვარად, სუფრული სიმღერები საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ისინი დღემდე სრულდება ყოფაში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სუფრის ტრადიციების სიმტკიცეს ჩვენს ქვეყანაში.

გია ბადაშვილი
ეთნომუსიკოლოგი,
მუსიკოლოგის დოქტორი

ქართული ხალხური საკრავები
უძველესი ქართული ხალხური
საკრავები

ძველ საქართველოში საკრავიერი მუსიკა საკმაოდ განვითარებული ყოფილა. მრავალი სახის საკრავი ინსტრუმენტი იყო ქართველთა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. ამ საკრავებმა სრულყოფილად ჩვენამდე ვერ მოაღწია და მათ შესახებ წარმოდგენას ვიქმნით წერილობითი ძეგლების, ფრესკებისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტების მიხედვით.

ადამიანი უძველესი დროიდან თავისი მუსიკალური მოთხოვნების დაქმაყოფილებას სხვადასხვა საგნების ხმის გამოყენებით ცდილობდა და ახერხებდა. ამ დროიდან ცნობილია შემდეგი სახის მუსიკალური საკრავები: დასარტყამი (სახსარუნებელი და ქდარუნები), ჩასაბერი და ძალებიანი (სიმებიანი). ეველა მათგანი ძველ საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში ყოფილა ცნობილი და გავრცელებული. უძველესი ებრაული წყაროებით, ქართველ ტომთა წინაპრები ჩასაბერი საკრავების მამად და გამომგონებლებად მოიხსენიებიან.

ივ. ჯავახიშვილი თავის წიგნში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ აღნიშნავს: ზოგი მათგანი (საკრავი ინსტრუმენტი – ვ.ჩ.) უძველესი დროიდან-ვე ყოფილა, ზოგის სახელები ადგილობრივია, ბევრი მათგანი კი ჩვენში თანდათანბით, შემდეგში გაჩენილა და მეზობელთაგან ყოფილა შეთვისებული. უმეტესი მათგანი გაქრა და უკვე მერმინდელ თაობებსაც კი მათი სახელების ნამდვილი მნიშვნელობა აღარ სცოდნიათ. თანამედროვე ქართველმა ხომ მათი სახელები მხოლოდ ძველი და ახალი თხზულებების წყალობით იცის, მათი რაობისა კი არაფერი გაეგება. ამიტომ, თოთოვეული მათგანის ზედმიწევნითი მნიშვნელობა, არსებობის ხანა და საკრავის სადაურობა ძეგლების მიხედვით უნდა იქნას გამორკვეული.


არქეოლოგიურ მონაპოვრებში მუსიკალური ინსტრუმენტები ცოტაა. ცნობილია მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე „პატარა მწევმსის საფლავში“ მოპოვებული გედის ლულოვანი ძვლისაგან ნაკეთები უენო სალამური, რომელიც ძვ.წ. XIV–XIII ს.ს.-ით დათარიდდა. 2003 წელს, დედოფლის გორაზე სასახლის კომპლექსის №11 ოთახის იატაკზე აღმოჩნდა ძვლის სალამურის ორი ნაწილი. ორივეზე ორ-ორი ნახვრეტია შემორჩენილი. თარიღდება ას. წ. I ს.ით. ოთხის ტერაკოტა ქნარიანი მუსიკოსის გამოსახულებით, გამოვლენილია უფლისციებში, ბამბების ნამოსახლარზე – ძვ. წ. VII–VI ს.ს.-ით დათარიღებულ ფენაში. 1988 წელს იმავე ფენაში აღმოჩნდა მეორე ტერაკოტა, რომელზეც დოლზე დამკვრელი მუსიკოსი არის გამოსახული. ყაზბეგის განძიდან ბრინჯაოს ქანდაკებას მუსიკს-დამკვრელისა, ხელში ხუთძალიანი (ხუთსიმიანი) საკრავით, შესაძლოა, ქნარი ჰქიოს. სვანეთში, ხაიშში აღმოჩენილია ოქროს საკიდი, რომელიც ჩარდახიანი კოშკის მინიატურულ გამოსახულებას წარმოადგენს. ჩარდახის ქვეშ სალამურებზე და ჭიანურზე დამკვრელის ორი ფიგურაა გამოსახული. მცხეთაში, სადგურის აკლდამაში აღმოჩენილია ბრინჯაოს ქანდაკება სალამურზე დამკვრელი ჭაბუკის – პანისა. განსაკუთრებით საინტერესო ძალისის მოზაიკური პანო – მრავალდულიან სალამურზე [ლარჯემ-სოინარ-სასტვენოზე] დამკვრელი პანის (ოჩოპინტერეს, ბოჩის) ფიგურა საგანგებოდ არის წარმოჩენილი მეჩანგე მუსიკოსთან შეპირისპირებით. მცხეთაში, სვანეთიცხოვლის ეზოში 2001 წელს აღმოჩნდა სამარხი, რომელშიც დადასტურდა საწერი მოწყობილობა – პენალი. იგი შემჯულია ცხრა მუზის გამოსახულებით და ბერძნული

წარწერებით. ლირიკული პოეზიის მუზას (ევტერპე) მარჯვენა ხელში საყვირი უჭირავს, მარცხენაში – ჩასაბერი ინსტრუმენტი; ცეკვის მუზას (ტერპისხორე) მარცხენაში ლირა უჭირავს, მარჯვენაში – პლექტრა; ეროტიკული პოეზიის მუზას (ერატო) მარცხენა ხელში შვერილებიანი ლირა უჭირავს, მარჯვენაში – გაურკვეველი საგანი. სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი სამარხი ას.წ. III საუკუნის ბოლოთი და IV საუკუნის საწყისი ხანით უნდა დათარიღდეს. საინტერესო 2007 წელს ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში დადასტურებული ბრინჯაოს ჭრაქი, რომელიც შემკულია ეროსის ოთხი ფიგურით. აქედან ერთი ტრიგნონზე – ფანდურაზე უკრავს, მეორე კი ლირაზე. განძი გვიანელინისტურ ხანას ეკუთვნის, ხოლო მისი ჩაფვლის თარიღია ძვ.წ. I საუკუნე.

წინწილა

(არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების მიხედვით)

საქართველოში უკანასკნელ ხანებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სხვა მრავალრიცხოვან მასალასთან ერთად, გამოვლენილია მუსიკალური ინსტრუმენტები – წინწილები, რომლებიც, ზოგადად, ელინისტური და გვიანრომაული ხანით დათაღირებულ სამარხებში და ნამოსახლარ ფენებშია დადასტურებული. წინწილები აღმოჩენილია სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.



ტახტიძის(ძვ.წ.IV-III ს.ს.)

წინწილა წარმოადგენს ნახვარსფეროსებრი ფორმის ბრინჯაოს ორ თხელ

თევზს, რომელთაც პირზე პუნქსონით გამოყვანილი წიწვოვანი ან წერტილოვანი ორნამები შემოუყვება. განივგვეთში ბრტყელი სახელურები ხახევარსფეროსებურად ამოზნებილ გარეზედაპირზე აქვთ დარჩილული. ზოგიერთი მათგანი სამსჭვალით არის დამაგრებული.

ზომები სხვადასხვაა: დმ – 11-22,5 სმ, სიმაღლე – 8-20 სმ, სახელურის სიგანე – 1,5-2 სმ.

საქართველოში, სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში, ოცამდე წინწილაა აღმოჩენილი. პირველი ინფორმაცია წინწილის არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ მაჟუთვნის დავით წერეთველს (აკაკი წერეთლის ძმას). მან 1875 წელს გაზ. „დროებაში“ სხვიტორელის ფსევდონიმით გამოაქვენა კორესპონდენცია, სადაც აღწერს ვინმე ზამბახიძის მიერ თოდაძის ციხის ფერდობზე, სახლის საძირკვლის გათრისას ნაპოვნ ოქროს ნივთებს და მათ შორის ასახელებს წინწილებს, რომლის მსგავს საგრავებს ახლა „როტის როკესტრში ტარელ-კებს ეძახიანო“ – აღნიშნავდა იგი.



მოდინახე (ახ. ვ. III-IV ს. ს.)

ფორმით და დამზადების ტექნიკით თითქმის ყველა წინწილა ერთნაირია. ისინი აღმოჩენილია როგორც სამაროვნებზე, ასევე ნამოსახლარებზე. სულხან-საბა თრბელიანის მიხედვით, „წინწილი ტკბილი საკრავია. წინწილი ლითონის თევზი იყო, რომელსაც მეორე ამნაირსავე თევზის დაკვრით აახმაურებდნენ ხოლმე“. ჩვეულებრივ წინწილს გარდა ყოფილა, აგრეთვე, „წინწილანი რვალისანი“. წინწილი უძველესი ქართული მუსიკალური საკრავია. მას მოიხსენიებენ წერილობით ძეგლებში. დავით ჩუბინაშვილის მიხედვით, წინწილა შედგება „ერთი მეორის შემოკვრით საკრავებელი ლითონის თევზისაგან“. წინწილი ქართულ ლიტერატურულ ძეგლებშიც გვხვდება. შავთელის „აბდულ-მესიაში“, შოთა რუსთაველის „გვეგხისტეოსანში“, ფერანგის „შაჰნავაზიანში“ და სხვ.

საინტერესო XIII საუკუნის ფსალმუნის ხელნაწერის მინიატურა, სადაც ქართველ მხატვარს აუსახავს ისრაელის მეფის სოლომონის მეფედ კურთხევა და სახიობა ძალებიანი, ჩასაბერი, საცემელი, საედარუნებელი საკრავებით, მგალობლების ტაშის ცემითა და როკით.

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ არაგვის ხეობაში, უინგალის, წიფრანის და ხეიხის სამაროვნებზე მოპოვებული წინწილები I-IV საუკუნით დათარილებულ სამარხებში აღმოჩნდა, ხოლო ტახტიძირის ელინისტური ხანის სამაროვაზე – ძვ.წ. IV-III ს. ს.-ით დათარილებულ №8 სამარხში; მცხეთაში, არმაზციხის სამეფო რეზიდენციაში – გვიანრომაული ხანის სატაძრო კომპლექსში, იაგაკის დონეზე, II-III ს. ს. დათარილებულ ფენაში გამოვლინდა. დასავლეთ საქართველოში წინწილები მოდინახეს და რგანის გვიანრომაული ხანის სამაროვნებზეც დადასტურდა. შემთხვევით მოპოვებული წინწილები ინახება ქუთაისის, ხონისა და თიანეთის მუზეუმებში.

საინტერესო ქუთაისში 1926 წელს შემთხვევით აღმოჩენილი (უბანი „გოჭოურა“) წინწილის ერთი თევზი, რომლის გარე ზედაპირზე პუნქსონით ამოკვეთილია სვასტიკები და ცხენების ძალიან სქემური გამოსახულებები. ერთ-ერთ უბელო ცხენზე ამხედრებულია ფეხზე მდგრმი ხელებგაშლილი მამაკაცი.

მოზრდილი ზომის წინწილები, რომლებიც მახვილებთან, შუბისპირებთან, სატევრებთან, ისრისპირებთან ერთად იქნა აღმოჩენილი, საგარაუდოდ, მეომარ-მხედრებს ეკუთვნოდათ, ხოლო ბავშვთა სამარხებში აღმოჩნდილი მომცრო ზომის წინწილები, შესაძლოა, მოზარდების, ბიჭების, მომავალი მეომრებისთვის იყო გათვალისწინებული.

უძველესი ხანის სახვით ხელოვნებაში ასახული მეომრები, რომელთაც წინ მიუძღვით ჩასაბერ და დასარტყამ საკრავებზე დამკვრელი მუსიკოსები, ადასტურებენ, რომ ლაშქრული, მხედრული, საიერიშო და სხვა სახის სამხედრო მუსიკას ფართოდ იყენებდნენ სამხედრო საქმეში.



ქუთაისი (გვიანანტიკური ხანა)

არაგვის ხეობის სამაროვნებზე შესწავლილ სამარხთა შორის შეიძლება გამოიყოს „მეომართა ფენა“, რომელსაც სტრაბონი „მიწისმოქმედთან“ აქრთიანებს და მესამე გენოსს მიაკუთვნებს. მეომართა შორის კი შეიძლება გამოვყოთ ერთი ჯგუფი – „მემუსიკენი“, რომელთა სამარხები სხვა საბრძოლო-საომარ ინვენტართან ერთად შეიცვენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს – წინწილებს. წინწილის დამკვრელი მუსიკოსი – მხედარი, ალბათ, წინ ედგა და უძღვდა საბრძოლო რაზმსა თუ ჯარს. თვით სახელწოდება წინ-წილა, შესაძლოა, აქედან მომდინარეობდეს.

მცხეთაში, სამეფო რეზიდენციაში, არმაზციხე-ბაგინეთის სატაძრე კომპლექსში აღმოჩენილი წინწილები მიუთითებს იმას, რომ წინწილა მხოლოდ მეომართა მუსიკალური ინსტრუმენტი არ ყოფილა. იგი, როგორც ქართველ მწერალთა და პოეტთა ობზულებებშია აღწერილი, საქართველოში მეფის სასახლეშიც ხმიანდებოდა. როგორც ვხედავთ, წინწილა – როგორც მუსიკალური საკრავი, საქართველოში გავრცელებული ჩანს უძველესი დროიდან XVII საუკუნის ჩათვლით. იგი ძველი ქართული დასარტყმელი-საჟღერებელი მუსიკალური ინსტრუმენტი ყოფილა.

წინწილები ყველაზე დიდი რაოდენობით ინახება დუშეთის რამინ რამინშვილის სახ. არქეოლოგიურ ბაზაზე, თბილისის შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში და სიმონ ჯანაშიას სახ. მუზეუმში. აგრეთვე, ქუთაისის, ხონისა და თიანეთის მუზეუმებში.

ვერა ჩიხლაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ერთი სიმღერის ისტორია ძაბრალე

„ძაბრალე“ მეგრული სათამაშო-საცეპვაო სიმღერაა, რომელიც 1933 წელს, ცნობილი მეგრელი ლოტბარის რემა შეღეგიას ხელმძღვანელობით არსებული სენაკის რაოთხული გუნდის შესრულებით ჩაიწერა ცნობილმა ქართველმა ფოლკლორისტმა გრიგოლ კოკელაძემ. სოლოს თვითონ რემა ასრულებდა. ცნობილია, რომ სიმღერა „ძაბრალე“ მეგრელი მომღერლების – პავლე და ბეგლარ აკობიების მიერაა შექმნილი. ეს არის სამხმიანი სიმღერა ორწილადი მეტროთა და მეგრული სასიმღერო ფოლკლორის ტიპური მახსინათვებლებით.

ძ(ვ)აბრა სიტყვა-სიტყვით „ზღარბს“ ნიშნავს, რომელიც, სიმღერის მიხედვით, ყანაში ჭირნახულს ანადგურებს. არსებობს მოსაზრება, რომ ძაბრა ტყის ავი სულის სახელია, მისი ძირი სიტყვა ძ(ვ)აბრარედან უნდა მომდინარეობდეს, რაც მეგრულად მუხანათს, ბოროტ სულს ნიშნავს. აღნიშნული სიმღერის ტყქსტი გამოხატავს ტყიდან მოვარდილი ძ(ვ)აბრას თავდასხმის მოლოდინში მის წინააღმდეგ შურისგებით ამოქმედებული ადამიანების საბრძოლო განწყობას.

არსებობს ფერხული „ძაბრალეს“ რამდენიმე ვარიანტი:

- ფერხულს შიგნით მოთამაშე მომღერლის გარეშე – ახალგაზრდები ჩააბამენ ფერხულს, მათი ერთი ნახევარი ტყქსტს მღერის, მეორე კი მოსძახის: „ჰო, ძაბრა!“

- ყველაზე გავრცელებულ ვარიანტში მეფერხულები ჩააბამენ ფერხულს, წრის შიგნით დააგდებენ ბეწვიან ქუდს. სიმღერა-ოხეუნჯობის ნიჭით დაჯილდოებული მოთამაშე ხანჯლით გარს უვლის მას და გამოხატავს შიშს, სიძლვილს, ძაბრას დამარცხების სურვილს, შეტევას, უკან დახევასა და ისევ თავდასხმას. საფერხულო მწყობრი კი „ჰო, ძაბრას!“ მოსძახებს; საბრძოლოდ ფერხულს შიგნით მოთამაშე ხანჯალს დაკკრავს ქუდს, მეფერხულები მისვანდებიან, დაგლეჯენ და მხიარულობენ.

- ფერხულს შიგნით ერთი მოთამაშის ნაცვლად ოთხი-ხუთი ჯოხიანი მამაკაცი დგას.

ბრძოლის დასრულებას და ძაბრას განადგურებას საყოველთაო მხიარულება მოსდევს. მოცეკვავები ერთმანეთს ეცილებიან ცეკვაში, რომელიც საოხეუნჯო ქმედებებს მოიცავს და იმპროვიზაციულ ხასიათს ატარებს.

დროთა განმავლობაში, ავსულის წინა-აღმდეგ მებრძოლმა გმირმა მასხარას მნიშვნელობა შეიძინა. „ძაბრალეს“ წაბაძვით, მის პარალელურად, გაჩნდა სახუმარო-საცეკვაო ლექსის ვარიანტები, რომლებიც გუნდური ცეკვის მაგივრად სოლოთი სრულდება. ამ სახით წარმოიქმნა „ჯანსულო“.

ოთარ ჩიჯავაძეს მეგრული სიმღერა „ჯანსულო“, „ძაბრალეს“ განვითარებულ ფორმად მიაჩნია. მასში საფერხულო მწყობრი აღარ მოძრაობს – სტატიკურია, სამაგიუროდ, გააქტიურებულია მოთამაშე-მომღერალი. ამგვარად, „ძაბრალეს“ ფერხული ჩამოშორდა და მეფერხულენი მხოლოდ „ჯანსულოს“ შეძახილით კმაყოფილდებიან. მოთამაშე კი გამოდის საცეკვაო მოედანზე და ტრაბახობს: იგი ისეა შეიარაღებული სმალხანჯლითა და დამბაჩით, რომ არაფრის ეშინია. უეცრად მოედნის ცენტრში ბეწვიანი ქუდი დავარდება, მოთამაშე შიშისაგან იარაღს ყრის და ხალხს უხმობს საშველად; ამის შემდეგ, იგი გათამამდება, შეუტევს ძაბრას, მოკლავს და გამარჯვების ნიშნად ცეკვავს.

„ჯანსულოს“ ახლანდელი ტექსტის ავტორ-მთქმელებად იონა და ბართლომე სართანიები ითვლებიან, ხოლო ცეკვის ახალი რეპერტუარის შემქმნელად და მის პირველ შემსრულებლად დ. კიტიას აღიარებენ. ამჟამად ეს ორი სიმღერა – „ძაბრალე“ და „ჯანსულო“ ერთმანეთის პარალელურად არსებობს.

საბჭოურ ეპოქაში ეს „თამაშები“ ბატონქმობის წინააღმდეგ მიმართულ საოხუნჯო სიმღერებად იქცა. გრ. კოკელაძის აზრით, წრის შიგნით გამომწყვდეული მავნებელი ბატონს განასახიერებდა, მასზე თავდასხმა და გამარჯვება კი სიმბოლურად გლეხების ბატონისაგან გათავისუფლებას გამოხატავდა.

„ძაბრალეს“ ტექსტი ასეთია:

„ჰაი ძაბრა სკანი ღურა
სი მაზაკვალ ჩვინდი ლულა
ჰე ბოშეფი სორე მუურს
ცანცალქ გემიოლუ გურს
ქმებევარით არძაქ ვარა
ვორწყექ მუჭო ობჰკუმუნს“.

„ჰაი, ძაბრა, შენი სიკვდილი,
შე მზაკვარო, ცხვირმოღრეცილო!
ეჲ, ბიჭებო, ეგერ მოღის!
კანკალი ამივარდა გულის!
მომეშველეთ ყველა თორებ
ვხედავ როგორ შემჭამს!“

მოამზადა მაკა ხარმიანმა
გრ. კოკელაძის, ჭ. სამუშაოს,
ა. თათარაძის მასალებზე დაყრდნობით

სიმღერის სანოტო ნიმუში აღებულია კრებულიდან „ქართული ხალხური მუსიკა, სამეგრელო“, ტ.2, თბილისი 2005.

ძაბრალე

ასრულებდა რემა შეღეგიას გუნდი

ჩანტერილია 1933 წ. სენაკში გრიგოლ კოკელაძის მიერ

Allegretto

solo

A musical score for four voices in G major, 2/4 time. The vocal parts are arranged in a 2x2 grid. The top row consists of soprano and alto voices, while the bottom row consists of tenor and bass voices. The lyrics are written in a mix of Georgian and Russian. The first two measures show the soprano and alto entries, followed by a repeat sign and the tenor and bass entries. The lyrics are: "da - ბრაშ ნა - უ - ლა," and "da - ბრაშ ლუ - რა." The music features eighth-note patterns and some rests.

A continuation of the musical score. The soprano and alto voices enter again, followed by the tenor and bass voices. The lyrics are: "ჩევი - ნდი ლუ - ლა," and "თექ ო - ჭკო - მუ." The music maintains its rhythmic pattern of eighth notes and rests.

Another section of the musical score. The soprano and alto voices lead off, followed by the tenor and bass voices. The lyrics are: "ჩეი - ნი ავა - ნა," and "ნა - ნა, ნა - ნა!" The music continues with its characteristic eighth-note and rest pattern.

The final section of the musical score. The soprano and alto voices enter, followed by the tenor and bass voices. The lyrics are: "და - ბრა კუ - ცი - ა," and "თი - ში ლუ - რა." The music concludes with its signature eighth-note and rest pattern.

Sheet music for a vocal piece in G major, 2/4 time. The vocal part consists of four staves. The lyrics are in Georgian and English:

ჰა - ი, და - ბრა, და - ბრა-ლე!

ჰა - ი, და - ბრა, და - ბრა-ლე!

ჰა - ი, და - ბრა, და - ბრა-ლე!

ვი - მა - ლე - ფი,

ა - ბა, არ - თო!

ჰა - ი, და - ბრა!

დო - პი - ლათ!

ა - თე და - ბრა!

ჰა - ი, და - ბრა!

ა - რძოქ არ - თო

ქი - გუ - ა - შქვათ,

ჰა - ი, და - ბრა!

A musical score for four voices in G major, 2/4 time. The vocal parts are arranged in a 2x2 grid. The top row consists of soprano and alto voices, while the bottom row consists of tenor and bass voices. The lyrics are in Georgian, with some words written in Latin script (e.g., ბა - ბრა) and others in Georgian characters (გა - გა). The music features eighth-note patterns and rests.

A continuation of the musical score from the previous page. The vocal parts remain in a 2x2 grid. The lyrics continue in Georgian, alternating between Latin script and Georgian characters. The musical style is consistent with the first page.

A continuation of the musical score. The vocal parts are in a 2x2 grid. The lyrics are in Georgian, with some words in Latin script. The music includes eighth-note patterns and rests.

A continuation of the musical score. The vocal parts are in a 2x2 grid. The lyrics are in Georgian, with some words in Latin script. The music includes eighth-note patterns and rests.

A musical score for four voices in G major, 2/4 time. The vocal parts are arranged in a 2x2 grid. The top row consists of soprano and alto voices, while the bottom row consists of tenor and bass voices. The lyrics are in Georgian, with some words written in Latin script (e.g., "ბა", "და", "ო", "ნი", "ე"). The music features eighth-note patterns and rests.

A continuation of the musical score from the previous page. The vocal parts remain in a 2x2 grid. The lyrics continue in Georgian, including "სი", "დო", "მა", "რი", "გვი", "ლი", "ნი", and "ე". The musical style is consistent with the first page.

A continuation of the musical score. The vocal parts are in a 2x2 grid. The lyrics include "მა", "ხვი", "ლე", "ო", "ბჭკუნ", "სლ", "და", "მა", "ბჭკო", "მას", and "ე". The music includes eighth-note chords and rests.

A continuation of the musical score. The vocal parts are in a 2x2 grid. The lyrics include "ო", "კო", "ა", "სე", "ქო", "მო", "ლო", "ბა", "ნი", "ე", and "ბრა!". The music concludes with a final chord.

A musical score page featuring four staves. The top two staves are in treble clef, and the bottom two are in bass clef. The key signature is G major (two sharps). The lyrics are written below the notes. The first section of lyrics is: "ঝু - গু - ঙ - শ্বেত, ফো - বো - লাত." The second section is: "বো মা - নগা - রো, গো - গো - নগা - নো," followed by two repetitions of "বো - ন, ফো - দরা!" The music consists of eighth and sixteenth note patterns.

A continuation of the musical score. The lyrics are: "ঙ - বো, ঙ - রতো, বো - ন, ফো - দরা!" This section is repeated three times. The music maintains the same rhythmic pattern of eighth and sixteenth notes.

A continuation of the musical score. The lyrics are: "ঝু - গু - ঙ - শ্বেত. বো - ন, ফো - দরা, ফো - দরা-ল্পে, বো - ন, ফো - দরা! বো - ন, ফো - দরা, ফো - দরা-ল্পে! বো - ন, ফো - দরা, ফো - দরা-ল্পে!" The music continues with the established pattern.

A continuation of the musical score. The lyrics are: "বো - ন, ফো - দরা, ফো - দরা - ল্পে! ফো! বো - ন, ফো - দরা, ফো - দরা - ল্পে! ফো! বো - ন, ফো - দরা, ফো - দরা - ল্পে! ফো!" The music concludes with a final section where the lyrics are repeated twice, each ending with a fermata over the last note.

რედაქტორი:
მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:
მაია ქაჭაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მაკა ხარძიანი
ლევან ვეშაპიძე
ლელა მაქარაშვილი

© განო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული
მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2013

eISSN 1512-228X

ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.

ტელ: (+995 32) 2998953, ფაქსი: (+995 32) 2987187

ელ-ფოსტა: polyphony@polyphony.ge; polyphony@conservatoire.edu.ge

www.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2014 წლის ივნისში